645
1966



# საქართველოს ქალი

იანვარი
№ 1 1966 წ.

63
645

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაკურიანში

ფოტო თ. ფურცხვანიძის

ეროვნული ბიბლიოთეკა







შრომის დიდებით მოგუგუნე,
გზადადაფნული,
საუკუნეთა კვალს გადაჰყვა
წელი გასული...
და უკვდავება ქართულ აზრის,
მკლავის—ქართულის,
მაღალ დროშაზე დაგვიტოვა
ამოქარგული.
შენც მოხველ ლხენით,
შემოაღე კარები ჩვენი.
კეთილი იყოს!!!
სიხარულით გული აგვევსო...
მშვიდობის დღენი,
გამარჯვების,
სიკეთის დღენი,
გვიმრავლე წელო—
1966!!!

1966 წ.

### ბრძანებულება

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

### ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

**რესპუბლიკის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე **ნ. პოდგორნი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1965 წლის 29 დეკემბერი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# პარტია ლენინისა

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა წარმატებით შეასრულა შვიდწლედის დავალებები, კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა 1965 წელი და ახლა იგი ახალი ენერგიით, გმირული შემართებით ხვდება ახალ წელს.

კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის, საბჭოთა საზოგადოების წარმმართველი ძალაა, ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია. კომუნისტურ პარტიას, როგორც კოლექტიურ ბელადს, სიბრძნესა და უშრეტ ენერგიას მასებთან მჭიდრო კავშირი აძლევს. იგი ხალხის შვილია და მოწოდებულია ემსახუროს ხალხს. პარტია ღირსეულად დგას ამ მოწოდების სიმაღლეზე. ამიტომ არის, რომ საბჭოთა ხალხი ენდობა და რწმენით მიჰყვება კომუნისტურ პარტიას, მასში ხედავს, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, „ჩვენი ეპოქის გონებას, პატიოსნებასა და სინდისს“.

ჩვენმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოახდინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, თავი გაართვა სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის პერიოდის სიძნელეებს, შექმნა სოციალისტური მძიმე ინდუსტრია და განახორციელა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ააშენა საბჭოთა ხალხმა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოება, გაიმარჯვა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში, მოკლე დროში მოიშუშა კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო მასშტაბის ომით მიყენებული ჭრილობები და ახალი ენერგიით დაიწყო კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა.

კომუნისტურ პარტიას სოციალიზმის გამარჯვებისაკენ გაუკვალავი გზით მიჰყავდა საბჭოთა ხალხი და, ცხადია, ეს გზა ია-ვარდით არ იყო მოფენილი. მაგრამ საბჭოთა ხალხს სწამდა, სჯეროდა, რომ ყოველგვარი დაბრკოლებისა და ზიგზაგების მიუხედავად, უტყუარი კომპასით — მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიით აღჭურვილი კომუნისტური პარტია სწორი მიმართულებით წაიყვანდა მას.

პარტიის, როგორც კოლექტიური ბელადის, სიბრძნე ახლებურად, მთელი ძალით გამოვლინდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმზე და მის შემდგომ პერიოდში.

კომუნისტური პარტია დინჯად, მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის კურსს, დიდ მუშაობას ეწევა იმისათვის, რომ სრულჰყოს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების ხელმძღვანელობის მეთოდები და სტილი, ობიექტურად მოქმედი ეკონომიური კანონების შესაბამისად, მოვლენათა არსში ღრმად ჩაწვდომით სახავს სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის ისეთ ეფექტურ ღონისძიებებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, უფრო სრულყოფილად გამოვიყენოთ კაპიტალისტურთან შედარებით სოციალისტური წყობილების დიდი უპირატესობანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ნოემბრის პლენუმმა აღადგინა პარტიული ორგანოების აგების ლენინურ-ორგანიზაციული პრინციპი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა შეიმუშავა და წარმატებით ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების განუხრელი აღმავლობის კონკრეტული პროგრამა.

მორიგი ამოცანა იყო მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის ზრუნვა. მრეწველობა ხომ სოციალისტური ეკონომიკის საფუძველია. მისი განვითარების დონეზე, მის მუშაობაზე დამოკიდებულია მთელი ჩვენი ეკონომიკის ზრდა, ჩვენი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

მრეწველობის დარგში ჩვენ მცირე მიღწევები როდი გვაქვს. შვიდწლედის დამამთავრებელი წლის დამდეგს სსრ კავშირში სამრეწველო წარმოების საერთო პროდუქციის მოცულობა 56-ჯერ აღემატებოდა 1913 წლის დონეს. მხოლოდ შვიდწლედის განმავლობაში სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა დაახლოებით 84 პროცენტით გაიზარდა გეგმით გათვალისწინებული 80 პროცენტის ნაცვლად. ამ პერიოდში აშენდა და მწყობრში ჩადგა 5,5 ათასი დიდი სამრეწველო საწარმო.

მაგრამ მრეწველობის მართვის, დაგეგმვისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების საქმეში უკანასკნელ წლებში შეიმჩნეოდა სერიოზული ნაკლოვანებები. ცნობილია, რომ მრეწველობის მართვის გარდაქმნამ ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, რაც 1957 წელს განხორციელდა, და სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნამ რამდენადმე გააფართოვა დარგთშორისი სპეციალიზაციისა და სამრეწველო წარმოების კოოპერირების შესაძლებლობანი ეკონომიური რაიონების ფარგლებში, მაგრამ ტერიტორიული პრინციპით მართვა აფერხებდა სხვადასხვა ეკონომიურ რაიონებში მყოფ საწარმოთა დარგობრივ სპეციალიზაციას. მართვის ამ სისტემამ მეცნიერება დააშორა წარმოებას, გამოიწვია მრეწველობის დარგების ხელმძღვანელობაში მრავალსაფეხურიანობისა და ბარიერების შექმნა, მუშაობაში ოპერატიულობის დაკარგვა.

ამ საკითხებზე იმსჯელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმმა, რომელმაც დასახა მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების ქმედითი ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებიც დიდად აუმჯობესებენ ჩვენი ქვეყნის მეურნეობის გაძღოლის სისტემას და უზრუნველყოფენ სოციალისტური ეკონომიკის განუხრელ აღმავლობას, ერთსულოვნად მოიწონა მთელმა ჩვენმა ხალხმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ მიიღო კანონი მრეწველობის მართვის ორგანოების სისტემის შეცვლის შესახებ, გააუქმა სახალხო მეურნეობის საბჭოები და შექმნა სსრ კავშირის

მთელი რიგი საერთო საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა უდიდესი მნიშვნელობის შესახებ ნათელ განმარტებას იძლევა თვით ამ პლენუმის დადგენილება, რომელშიც ნათქვამია:

„მრეწველობის ხელმძღვანელობის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მრეწველობის ხელმძღვანელობის ეკონომიური მეთოდების გაძლიერების ღონისძიებათა დიდი მნიშვნელობა ის არის, რომ ისინი ერთიან სახელმწიფო დაგეგმვას უხამებენ საწარმოთა მთლიან სამეურნეო ანგარიშს, ცენტრალიზებულ დარგობრივ მართვას — ფართო რესპუბლიკურ და ადგილობრივ სამეურნეო ინიციატივას, ერთმმართველობის პრინციპს და საწარმოო კოლექტივების როლის გადიდებას. ამ დროს კიდევ უფრო ფართოვდება მართვის დემოკრატიული პრინციპები, იქმნება ეკონომიური წანამძღვრები წარმოების მართვაში მასების უფრო ფართო მონაწილეობისათვის და მათი გავლენისათვის საწარმოთა ეკონომიური მუშაობის შედეგებზე.“

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მრეწველობის შემდგომი განვითარების და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდების, ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ეროვნული შემოსავლის ზრდისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ერთ-ერთ ხელშემწყობ საშუალებად მიაჩნია სამრეწველო წარმოების ეკონომიური გაძლიერება და საწარმოთა მუშაობის შედეგების გაუმჯობესებით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გადიდება.

ეკონომიური სტიმულირების გაძლიერებასთან ერთად სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს, ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ შრომის მორალურ სტიმულირებას, ყველა პირობა შექმნან მასების ნამდვილად კომუნისტური შემოქმედების გაფურჩქვნისათვის.

სექტემბრის პლენუმის დადგენილება მნიშვნელოვნად ზრდის საწარმოს დირექტორისა და მთელი კოლექტივის უფლება-მოვალეობებს. ისპობა ზედმეტი ბარიერები. საწარმოს საქმე ექნება მხოლოდ ერთ სამინისტროსთან. მას უფლება ენიჭება, საჭიროების მიხედვით გამოიყენოს ძირითადი საწარმოო ფონდები, საბრუნავი საშუალებანი. მაგალითად, შეუძლია გაჰყიდოს ზედმეტი მოწყობილობანი, ნედლეული, რომელიც მას არ ესაჭიროება, შემოსული სახსრები გამოიყენოს საწარმოს განვითარებისათვის; შეუძლია თვითონ, საფინანსო ორგანოებში გაუტარებლად დაამტკიცოს შტატები და ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა, გამოიყენოს წლის განმავლობაში ხელფასის ფონდში გაწეული ეკონომია და სხვა. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მთელი კოლექტივის ბრძოლას წარმოების რენტაბელურად მუშაობისათვის, მოგებისა და საერთო ეროვნული შემოსავლის გადიდებისათვის.

ცხადია, საწარმოთა უფლებების გაფართოება არ ნიშნავს ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის ცენტრალიზებულ მეთოდებზე უარის თქმას. დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი კვლავ რჩება სოციალისტური მეურნეობის გაძღოლის წამყვან პრინციპად. სოციალისტური სახელმწიფო თავის ხელში კვლავ ინარჩუნებს მთავარ ეკონომიურ ბერკეტებს, რომლებითაც წარმართავს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებას. ამას ახდენს წარმოების განვითარების მთავარ მიმართულებათა დაგეგმვით, ტექნიკური პროგრესისათვის ზრუნვით, კაპიტალური დაბანდებებით, ფასების დადგენით და სხვა საშუალებებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებას რომ ეხებიან, ბურჟუაზიული პრესის მჯღაბნელები ამაოდ ცდილობენ საქმე ისე მოაჩვენონ, თითქოს მართვის სოციალისტური სისტემა გაკოტრდა და ახლა საბჭოთა კავშირი თითქოს მეურნეობის გაძღოლის კაპიტალისტურ მეთოდებს უბრუნდება.

ბურჟუაზიული იდეოლოგიის მსახურთ არ სურთ გაიგონ, რომ სოციალისტური სისტემისათვის უცხოა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, რომ საბჭოთა ადამიანი თვისებრივად განსხვავდება კაპიტალის მონისაგან. თუ საბჭოთა ადამიანი, ვთქვათ, ღამითაც მუშაობს ან ფიქრობს და ძილს იკლებს იმისათვის, რომ კეთილსინდისიერად შეასრულოს მოცემული დავალება, ამას ის აკეთებს სოციალისტური სამშობლოს, პარტიისა და ხალხის წინაშე მოვალეობის ღრმა შეგნებით და არა გამდიდრებისა და კაპიტალის დაგროვების მიზნით. თვალთმაქცობითა და სხვისი მოტყუებით, ექსპლოატაციითა და არაკეთილსინდისიერი შრომით კაპიტალის დაგროვება იმ საზოგადოების სიმახინჯეა, სადაც ადამიანი ადამიანისათვის მგელია.

საბჭოთა ადამიანების, ჩვენი საწარმოო კოლექტივების მთელ საქმიანობას განაპირობებს და ცხოველმყოფელ ძალას აძლევს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე მოვალეობის ღრმა შეგნება. ცხადია, ეკონომიურ უზრუნველყოფას, მატერიალურ წახალისებას, ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს თვით საწარმოს ინტერესიც არის, იმას, ვინც უკეთ ცხოვრობს, მეტი შესაძლებლობა აქვს იმუშაოს საწარმოში და უკეთ ემსახუროს ხალხს. მაგრამ საბჭოთა ადამიანის შეძლებულ და ბედნიერ ცხოვრებას საერთო არა აქვს რა კაპიტალის დაგროვებასთან და გამდიდრების კაპიტალისტურ მეთოდთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა მიიღო აგრეთვე დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მოწვევის შესახებ.

სექტემბრის პლენუმის შედეგების განსახილველად 1965 წლის 18 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“ და დასახა ღონისძიებანი ამ დადგენილების განხორციელების უზრუნველსაყოფად. პლენუმმა მიიღო დადგენილება საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის მოწვევის შესახებ.

საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ 19 ოქტომბერს მიიღო კანონი რესპუბლიკის მრეწველობის მართვის ორგანოების სისტემის შეცვლისა და სახელმწიფო მართვის ზოგიერთი სხვა ორგანოს გარდაქმნის შესახებ. მან გააუქმა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო და შექმნა კვების მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის და ხის დამამუშავებელი მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის და სამშენ მასალათა მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები.

სესიის მიერ მიღებული კანონით შეიქმნა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის რესპუბლიკური სამინისტრო. საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო-საგეგმო კომისია გარდაიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტად. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო გარდაიქმნა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი გარდაიქმნა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

რესპუბლიკაში დიდი მუშაობა გაიშალა სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ღრმად შესწავლისა და განხორციელებისათვის.

რესპუბლიკის კომუნისტების, მთელი ხალხის ცხოვრებაში ყრილობისათვის მზადების დღეებში დიდი მოვლენა იყო სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური შეკრება, რომელიც 20 ნოემბერს გაიმართა თბილისში, სპორტის სასახლეში. 186 ათასი ტონა ჩაი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 185 ათასი ტონისა; 243 ათასი ტონა ყურძენი, ნაცვლად 230 ტონისა; 49 ათასი ტონა კარტოფილი, ნაცვლად 45 ათასი ტონისა; გეგმით გათვალისწინებული 70 ათასი ტონა მარცვლეული!—აი როგორი მაჩვენებლებით მოვიდნენ სოფლის მშრომელები რესპუბლიკურ შეკრებაზე.

შეკრების მონაწილეებმა რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა სახელით აღუთქვეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, ყოველ ღონეს იხმარებენ, რათა განახორციელონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი სწრაფი აღმავლობის დიდებული გეგმები, რომლებიც პარტიამ დასახა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აღფრთოვანებული ორგზის ლენინის ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს მშრომელები, რომლებიც ენერგიულად იღწვიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ეჭვი არ არის, საამაყო მაჩვენებლებით შეხვდებიან საბჭოთა ხალხის ავანგარდის დიდ ფორუმს, დაუღალავი შემოქმედებითი შრომით დააჩქარებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას.

**აკ. ჩაჩლეიშვილი,**

ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე.

# ჩვენი საახალწლო ინტერვიუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდა ახალი, 1966 წელი. შემოქმედებითი შრომით, წარმატებებით, აღმავლობით სავსე ძველმა წელმა გზა დაუთმო ახალს, მომავალ წელს.

ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ, მეგობრებო! თქვენი გული სავსეა დიდი მიზნებით, ლამაზი ფიქრებით, აუხდენელი ოცნებებით. ჩვენი ჟურნალის კორესპონდენტმა ინახულა ზოგი თქვენგანი, რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები, ხელოვნების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები, ისინი სიამოვნებით დათანხმდნენ, მოეთხროთ ჩვენთვის თავიანთი მიზნების შესახებ და ჟურნალის საშუალებით გადმოეცათ საყოველთაო სურვილი: „მრავალ ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ, მეგობრებო."



ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა მარიკა ლორთქიფანიძემ თავად შემოიარა „საქართველოს ქალის" რედაქციაში. ახალგაზრდა ისტორიკოსების აღმზრდელს, სახელოვან მეცნიერ ქალს ახალი წლის მილოცვასთან ერთად ვთხოვეთ მოეთხრო თავისი მუშაობის შესახებ.

გასული წელი მეტად ნაყოფიერი იყო მეცნიერისათვის. მან ქართველ მკითხველს მიაწოდა სამეცნიერო-პოპულარული წიგნი: „ადრე ფეოდალური ხანის საისტორიო მწერლობა". წიგნში გაშუქებულია მე-5-10 საუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობა, ისტორიული აზროვნების განვითარების გზები. გამომცემლობა „ნაკადულს" ჩააბარა წიგნი „საქართველო რუსთაველის ეპოქაში". ამ წიგნის მიზანია გააცნოს ჩვენს ახალგაზრდობას ის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ძვრები, რომელთაც განაპირობეს მე-12 საუკუნის საქართველოს ძლიერება და აყვავება და საფუძველი შექმნეს ისეთი დიადი მოვლენისათვის ჩვენი ერისა და მსოფლიო კულტურის ისტორიაში, როგორიცაა შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი".

— ახალი წელი? რომელი ერთი გითხრათ! ამ წელს კვლავ ვაგრძელებ მუშაობას, მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივთან ერთად, საქართველოს ისტორიის მრავალტომეულზე.



ეს ქალიშვილი — ლილი ელიაშვილი საახალწლო კეთილ სურვილებს გითვლით ჟურნალ „საქართველოს ქალის" მკითხველებს.

მე-7 სამკერვალო ფაბრიკა, სადაც ლილი დირექტორის მოადგილედ მუშაობს, მომხმარებელს მზა ტანსაცმელს აწვდის. ლილი საწარმოს მთელ კოლექტივთან ერთად იბრძოდა, რათა ფაბრიკის პროდუქციის ხარისხი ამაღლებულიყო, მომხმარებელი ნდობით მოჰკიდებოდა ფაბრიკის ნაწარმს.

— გასულ წელს, ვფიქრობთ, რომ ფაბრიკამ შესძლო დაემსახურებია მომხმარებლის კმაყოფილება. ჩვენი მომხმარებლები ხომ უმეტესად სკოლის ასაკის ბიჭუნები არიან. და ეს უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, განვამტკიცეთ კავშირი მაღაზიებთან. დიდ ანგარიშს ვუწევთ მომხმარებელთა ინტერესებს, სურვილებს.

ახალი წლიდან ფაბრიკის შენობაში ვხსნით „გამოფენის ოთახს", სადაც ყოველი სახის ასორტიმენტს გამოვფენთ, რათა უშუალოდ მივიღოთ დაკვეთები მაღაზიებიდან, უფრო დავიახლოვოთ მომხმარებელი.

იმედი გვაქვს წელს მივაღწევთ თვითღირებულების შემცირებას, კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ ჩვენი მუშების საყოფაცხოვრებო პირობებს.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" მკითხველებს ვულოცავ ახალ წელს, და ვისურვებდი ჩვენს პროდუქციას მათი მოწონება დაემსახურებინოს.



პოეტ ქალს მაყვალა მრევლიშვილს ტელეფონით დავუკავშირდით. მაყვალამ გულთბილად მოულოცა ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ახალი წელი.

წელს პატივცემული მაყვალა ჩვენს ნორჩ თაობას კვლავ ახალი წიგნით გაახარებს. „ვისია ზიზია" — ასე დაასათაურა მაყვალა მრევლიშვილმა ეს პატარა წიგნი, რომელსაც გამომცემლობა „ნაკადული" ბეჭდავს.

— დავამთავრე ახალგაზრდობის საყვარელი წიგნის — შარლ კოსტერის „ტილ ულენშპიგელის" თარგმნა. თარგმანზე წლების განმავლობაში ვმუშაობდი. ვიმედოვნებ, რომ ახალგაზრდობა ამ წიგნსაც წელს მიიღებს.

საყვარელ პოეტ ქალს მადლობა გადავუხადეთ, იმ დიდი ზრუნვისათვის, რომელსაც იგი იჩენს ჩვენი ბავშვებისადმი.

ჯანმრთელობასა და ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ, ძვირფასო მაყვალა!





ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ქსენია სიხარულიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვინახულეთ. პატივცემული ქსენია ლექციებს უკითხავს ახალგაზრდა ფილოლოგებს, უნერგავს სიყვარულს მშობლიური ხალხური ზეპირსიტყვიერებისადმი, ზრდის ახალ კადრებს.

— გასულ წელს ახალგაზრდობის ორი ჯგუფი გავგზავნე მესხეთ-ჯავახეთსა და ხევში. მათ ხალხური სიბრძნის ასზე მეტი ნიმუში ჩამოიტანეს და შეხძინეს უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო ფოლკლორულ არქივს.

გასული წელი მეტად ნაყოფიერი იყო მეცნიერი ქალისათვის: მან მოამზადა გამომცემლობა „ნაკადულისათვის" ხალხური სიბრძნის მე-4 ტომი (პოეზიის განყოფილება); ერთი დიდი სიხარულიც მოუტანა გასულმა წელმა პატივცემულ ქსენიას: უნგრელმა კოლეგებმა გამოუგზავნეს სამ ენაზე (ინგლისური, რუსული და უნგრული) დაბეჭდილი მის მიერ 1963 წელს ბუდაპეშტის ეთნოგრაფთა კონგრესზე წაკითხული მოხსენება — „გმირული პოეზიის ტრადიცია საქართველოში", უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების შრომების სპეციალური გამოშვება (იგივე მოხსენება ინგლისურად დაიბეჭდა უნგრეთის მეცნიერებათა ორგანოში: „აქტა ეთნოგრაფიკა").

— ახალი წელი ქართველ საზოგადოებას მსურს მივულოცო ჩემი წიგნის — „ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედების" მეორე ტომით, რომელსაც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" ბეჭდავს, წიგნი ეძღვნება ქართული ზეპირსიტყვიერებისა და ლიტერატურის ურთიერთობას.

დიდი რუსთაველის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის კრებულისათვის გადავეცი ორი თაბახის მოცულობის წერილი: „ვეფხისტყაოსანი" და ქართული ხალხური საგმირო პოეზია."

ყველაზე დიდი სამუშაო ამ წელს მელის, ესაა საისტორიო ხასიათის ლექსთა მრავალტომიანი კრებულის მომზადება, კომენტარებითა და ვარიანტებით. ამ 85-თაბახიან წიგნში ასახული იქნება მთელი ჩვენი ისტორია მე-5 საუკუნიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე. წიგნზე ხომ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება 8 წლის განმავლობაში მუშაობდა!

კიდევ მრავალი გეგმა აქვს დასახული პატივცემულ მეცნიერს ახალი წლისათვის. თუნდაც მეტად საინტერესო წიგნი: „ვეფხისტყაოსნის" ხალხური სიმბოლიკა".

დიდ წარმატებებს გისურვებთ, მეცნიერო ქალო!



— გილოცავთ ბედნიერ ახალ წელს, ძვირფასო მეგობრებო! — შემოაღო რედაქციის კარი ახალგაზრდა მხატვარმა დინარა ნოდიამ.

ჩვენის მხრივ შემოქმედებითი წარმატებებით სავსე ახალი წელი ვუსურვეთ მას. წარმატება უცხო არ არის ახალგაზრდა მხატვრისათვის. გასულ წელს შეეციაში გამოფენილმა მისმა ლინოგრავიურებმა საზოგადოების დიდი ყურადღება დაიმსახურა. დინარამ მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკურსა და საკავშირო გამოფენაზე — „მშვიდობის სადარაჯოზე", წარმატებით მიდიოდა მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლი „დედა", რომელიც მხატვრულად დინარა ნოდიამ გააფორმა. დინარა ნაყოფიერად მუშაობს გრაფიკაში და ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს სიყვარულით აფორმებს.

— ახალ, 1966 წელს კი... ჩემი ფერები ისევ საყვარელ სამშობლოს აამეტყველებენ ტილოზე. „ჩემი სამშობლოს დღეები" ასეთია თემა სურათების იმ სერიისა, რომელსაც წელს შევქმნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საახალწლო სტუმრები



რედაქციაში ახალგაზრდა ქალიშვილი შემოვიდა. ძალიან ახალგაზრდაა ზ ე ი ნ ა ბ ბ ო ც ვ ა ძ ე, მაგრამ ქართველმა მაყურებელმა უკვე შეიყვარა იგი საუკეთესო ფილმებიდან: „განძი“ და „ჩქარი მატარებელი“.

ნიჭიერი, მშვენიერი გარეგნობის მსახიობი გასულ წელს უმეტესად რუსთაველის თეატრის სცენაზე იხილა მაყურებელმა გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქასა“ და ჯ. ჩარკვიანის მიერ გადმოკეთებულ, ვ. როზოვის პიესაში — „ვახშმობის წინ“.

უყვარს ზეინაბს თეატრი. მისი ოცნებაა სცენაზეც მოიპოვოს მაყურებლის სიყვარული. ამიტომაა, რომ დიდი მონდომებით სწავლობს თეატრალურ ინსტიტუტში დიდ მსახიობთან და პედაგოგთან — აკაკი ხორავასთან. მონაწილეობას იღებს საკურსო დადგმებში.

— მომავლის მიზნები? თეატრი და კვლავ საყვარელი თეატრი. რაც შეეხება კინოფილმებს, ვოცნებობ საუკეთესო კინოსცენარზე....

კომპოზიტორმა დ ა ლ ი ჩ ხ ე ი ძ ე მ გასულ წელს უმეტესად ახალგაზრდა შემსრულებელთა თაობისათვის იზრუნა. „მესამე საფორტეპიანო კონცერტიც“ ახალგაზრდობას მიუძღვნა. დალი სიყვარულით მუშაობდა კამერულ ნაწარმოებებზეც. მან კოლორატურული სოპრანოსათვის რამდენიმე სიმღერა დაწერა. ესაა საბავშვო სიმღერები, ოღონდ შემსრულებელი ბავშვები არ იქნებიან.

— ხელოვნების სხვა მუშაკებთან ერთად, ჩემს საყვარელ ხალხთან ერთად, სიამაყით ველი დიდი რუსთაველის საიუბილეო თარიღს. რუსთაველს მივუძღვენი საფორტეპიანო პიესების ციკლი, რომელსაც ამ წელს ვამთავრებ. ჩემი მიზანია დავწერო საბავშვო ოპერა. ლიბრეტოზე პოეტი იოსებ ნონეშვილი მუშაობს.

გთხოვთ ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მკითხველებს ჩემი სახელითაც მიულოცოთ ახალი, 1966 წელი!





ჯაბა ასათიანი

# წვიმა

მხატვარი დ. ბაშელეიშვილი

ნოველა

მთელი კვირა თაკარა მზე ახურებდა ქალაქს და სულ მალე უზარმაზარ, გავარვარებულ თონეს დაამსგავსა. შემდეგ კი მოულოდნელად წამოწვიმა: ჯერ წვრილად ცრიდა, თითქოს მზე იბანდა პირს; ადამიანები არ გაურბოდნენ წვიმას, პირიქით, შევებითა და ნეტარებით მიაბიჯებდნენ ქუჩაში. შემდეგ კი წვიმამ იმძლავრა, ადამიანები სადღაც მიიმალნენ, შეიყუჟნენ. ცა შავად მოიქუფრა და სახლების სახურავებზე თალხი ჩამოწვა. ქალაქში ქოლგების ტყე გაშენდა. წვიმდა... წვიმა მღეროდა.

კარგა რიგიანად ვიყავი დასველებული, როცა გურამთან ასვლა გადავწყვიტე. გურამი ჩემი სკოლის მეგობარია, დიდი ხანია არ მინახავს. მე და გურამი ათი წელი ერთ მერხზე ვისხედით. შემდეგ ერთად ვაბარებდით მისაღებ გამოცდებს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. მე ბედმა მიმტყუნა... და ახლა ერთ-ერთ რედაქციაში შიკრიკად ვმუშაობ. წინათ დღე არ გავიდოდა, ერთმანეთი არ გვენახა, ახლა კი... მოუცლელნი ვართ და, მე თუ არ მივაკითხე...

ხვეული კიბე ავირბინე და კარზე დამაგრებულ პლასტმასის ღილაკს თითი შევახე. ზარმა გაბმულად დარეკა. კარგა ხანს პასუხი არავინ გამცა. ის იყო, გამობრუნებას ვაპირებდი, რომ კარი გაიღო და გურამმა თავი გამოჰყო.

— აა, შენა ხარ? შემოდი.

— გაგაღვიძე?

— რა დროს ძილია, ვმეცადინეობ.

— აბა წავალ, ხელს არ შეგიშლი.

— ამ წვიმაში სად უნდა წახვიდე, რას დამაგვანებიხარ?

გურამს საწერ მაგიდაზე წიგნები დაეხვავებინა, ეტყობოდა, დიდ გასაჭირში იყო. ხელი რომ არ შემეშალა, ოთახი გავიარე და ღიად დატოვებულ ფანჯარას მივადექი. წვიმდა... აქიდან, წვიმისაგან დასველებული შენობებითა და მოსიარულე ქოლგებით დახუნძლული ქუჩის მონაკვეთი აბსტრაქტული ნახატივით მოჩანდა. ვიდექი ფანჯარასთან და ქვევით, ქუჩაში, სწრაფად მოსიარულე ქოლგების უცნაური ფარფატი რატომღაც ღიმილს მგვრიდა. ჩემს ქვემოთ ავტობუსის გაჩერებაა. ამ გაჩერებაზე საერთოდ ბევრი მგზავრი იყრის ხოლმე თავს, ახლა კი არავინაა, არც ავტობუსი ჩანს. ეს გავიფიქრე და ქოლგების ნაკადს ლამაზად მოხატული ქოლგა გამოეყო და სადისპეტჩერო ჯიხურთან შეჩერდა. წვიმდა... რაღაც დაძაბული მზერით მივშტერებოდი ქოლ-

გას და იგი ტყეში შხაპუნა წვიმის შემდეგ ამომსკდარ დიდქუდა გაზაფხულის სოკოს მაგონებდა. წვიმდა... ქოლგა კი კვლავ ჯიუტად იდგა ერთ ადგილას და არაფრად არ აგდებდა წვიმას. მე კი ბუნებას შევთხოვდი წვიმის გადაღებას. და, ჰოი საოცრებავ, თითქოს ბუნებამ მისმინაო: წვიმამ ერთბაშად გადაიღო და ქუჩაში ქოლგების ტყეც შეთხელდა. ადამიანებმა თავშესაფრები მიატოვეს და ახლა გაჩერებაზე საკმაოდ შეჯგუფდა ხალხი. ჯიუტი ქოლგაც შეირხა და დაიკეცა. დარჩა გოგონა აპრეხილი ნაწნავებით. უნებურად გამეცინა.

— რა გაცინებს, გოგი? ხომ ხედავ, ვმეცადინეობ! — მომესმა გურამის ხმა.

— იმ გოგონას ვუცინი...

გურამი წამოდგა და მომიახლოვდა.

— რომელ გოგონას?

— გაჩერებაზე...

— რა, თქვენს უდიდებულესობას ხომ არ ელიან? — მითხრა გურამმა დამცინავი ხმით.

— დიახ!

და ეს „დიახ“ ისე დამაჯერებლად წარმოვთქვი, რომ კინაღამ თვითონვე დავიჯერე.

— მერედა, ბიჭო, წადი, რას უდგეხარ, მეც დამეხსნები და... ხომ არ გგონია, დიდხანს დაგელოდება.

— დამელოდება! — მივუგდე გურამს და კიბეზე დავეშვი.

გოგონა იმავე ადგილას იდგა და, რა თქმა უნდა, მე მელოდა. შევხედე მის აპრეხილ ნაწნავებს და მომაგონდა, რომ ამ ვარცხნილობას გოგონებმა „შემიყვარე, გაგარინ“, შეარქვეს. რას არ მოიგონებენ! ან კი კაცს ბედი არ გინდა?! განა რამე დაშავდებოდა — „შემიყვარე, გოგი“, — დაერქმიათ. ჰოდა, მაშინ მე მივიდოდი ამ თვალებციმციმა გოგონასთან, გავუღიმებდი და ვეტყოდი:

— იცით, გოგონი, მე გოგი მქვია.

ის კი ჯერ დაკვირვებულ მზერას მომაპყრობდა, შემდეგ ჩემი სახელობის ნაწნავებს შეარხევდა და გამიღიმებდა. რა თქმა უნდა, გამიღიმებდა. ნეტა რა ჰქვია? ნანა, მანანა, მაია... ჰო, მაია ერქმევა. განა ამას ფიქრი უნდა? ასეთ კარგ გოგონას მხოლოდ მაია შეიძლება ერქვას. უეცრად შევნიშნე, რომ მაიაც იღიმებოდა, თქვენ წარმოიდგინეთ, მართლა იღიმებოდა. რა თქმა უნდა, ეს ღიმილი მე მეკუთვნოდა. მაგრამ იქნებ... თუნდაც ამ მოხუცს... დავეჭვდი უცებ. მოხუცის შემხედვარეს კი, მართლაც ძნელი იყო სიცილი შეგეკავებინა. წვიმას კარგა ხანია გადაეღო, მოხუცი კი სულ არ ჩქარობდა ქოლგის დაკეცვას. პირიქით, კედელს აჰკვროდა და ქოლგის ტარისათვის შიგ ძირში ჩაეჭიდა ხელი, ისე რომ, ქოლგა თავზე ჩამომხობოდა. მისი სახე რიგიანად არც კი სჩანდა, მხოლოდ ხანდახან განზე გაწეული ხელი ჩნდებოდა, წვიმს თუ არაო. მოხუცის ხელს არ აწვიმდა, მაგრამ ქოლგას კედლის მთელ სიგრძეზე ჩამოყოლებული გამსკდარი მილიდან წვიმის წვეთები უხმაუროდ ეცემოდა...

უეცრად ხალხის ჩოჩქოლმა შემაკრთო: ავტობუსი მოვიდა. მგზავრებმა არ დააყოვნეს და შესასვლელს უწესრიგოდ მიაწყდნენ. მაიაც ხალხმა მომტაცა, სულ მალე თვალიდან დავკარგე. ავტობუსმა მძიმე ბარგი აიკიდა და ზოზინით გზას დაადგა...

რატომღაც მოვტრიალდი და ზევით ავიხედე, გურამი ფანჯარასთან იდგა, იცინოდა და ხელებით რაღაცას მანიშნებდა.

— ნეტა რა უხარია?! — გული მომივიდა და იქაურობას გავცილდი...

დღეები უფერულად მიყვებიან ერთმანეთს...



განმარტოებით დავაბიჯებ ქუჩებში, იმ იმედით, რომ სადმე მოვკრავ თვალს აპრეხილ ნაწნავებს, სადმე წავაწყდები ლამაზად მოხატულ ქოლგას; ქოლგას-მეთქი, წვიმა კი თითქოს ჩემზე განაწყენებულია, სტუმრობას არც კი ფიქრობს. იმ იმედითღა ვარ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ცა გამომიგზავნის წვიმას. წვიმა გაწუწავს ქუჩებს, შენობებს, დაასველებს მგზავრებს. წვიმა გააშენებს ქოლგების ტყეს, მათში კი მე ჩემსას ვიპოვი, ჩავჭიდებ ხელს და აღარასოდეს გავუშვებ.

...და აი, წვიმაც... ჯერ ეზოში რამდენიმე მუქი ლაქა გაჩნდა, მერე კი, სახურავებზე ახტუნებული წვეთების ყრუ კაკუნი მოისმა და გაწვიმდა. წვიმს! წვიმს! წვიმაში გავრბივარ. დღეს კი აუცილებლად ვნახავ, არ შეიძლება, რომ იმედი გამიცრუვდეს. დღეს ხომ წვიმს, დღეს ხომ ქოლგების დღეა. მივაბოტებ სველ ქვაფენილზე და ვსველდები.

ამ უსასრულო ხეტიალში კი წვიმა წყდება და ირგვლივ რაღაც უჟმური სიჩუმე ისადგურებს. სიჩუმეს მხოლოდ სველ ქვაფენილზე მანქანების საბურავების შრიალი არღვევს. ქვაფენილს საამო ორთქლი ასდის. ხეები სდუმან, თითქოს სთვლემენო.

აი, მეგობრის სახლიც, მეორე სართული, მეოთხე ფანჯარა, საიდანაც პირველად დავლანდე მოხატულ ქოლგას ამოფარებული გოგო... აი, გარკვევით ვხედავ გურამის ნაცნობ სილუეტს ფანჯარასთან, თავისებურად ხელებს იქნევს, ალბათ ვინმეს უხსნის რაღაცას. ასე იცის მუდამ, ხელებს იშველიებს ხოლმე, — რა ვქნა, ჩვეულებად მაქვსო, — იმართლებს თავს.

— გამარჯობა, გურამ! — ჩემთვის ვესალმები მეგობარს. ნეტავ რა ჰქნა, ჩააბარა გამოცდა? მაგრამ ეს ვიღაა... აპრეხილი ნაწნავები... თავბრუ მეხვევა. მაია, მაია. ჰო. ჰო. მაია... უნდა ავიდე, რაღას ვუდგევარ! მაგრამ ეს რაღაა, სხეულს ვერ ვიმორჩილებ. ვდგავარ ასე, და ანგარიშმიუცემლად ვიმეორებ: იქ მაიაა, გურამთან, მეოთხე ფანჯარაში, იქ მაიაა... მერე ფანჯარა ცარიელდება... თვალებს ვხუჭავ და რაღაც საოცარი სიმშვიდე მეუფლება... დაღლილი, მოთენთილი მივლასლასებ შინისაკენ.

ბინდი წვება ქალაქში, დღისა და ღამის გასაყარი. ქუჩაში გამვლელთა მუქი სილუეტები ნელ-ნელა ბუნდოვნდებიან. შემდეგ კი ქუჩის ლამპიონები აბრდღვიალდნენ და ალაგ-ალაგ წვიმისაგან დარჩენილ თბილ გუბურებში უფორმო ბრჭყვიალა საგნებად აირეკლნენ.

უეცრად ცაზე ელვა დაიკლაკნა და რუხრუხი გაისმა. ფიქრიც დამეხსნა და მიიმალა, თითქოს შეშინებულმა სადღაც შორს, რომელიღაც კუნჭულში სამუდამოდ დაიდო ბინაო. ცაზე კი თავაწყვეტილი ელვა იგრიხება და რუხრუხი გააქვს. შემდეგ საიდანღაც ქარი ამოვარდა და ირგვლივ ყველაფერი არივ-დარია, ცა ჩაშავდა, წვიმა დაუშვა.

წვიმა, გაზაფხულის შხაპუნა წვიმა...

ქალაქში ქოლგების ტყე გაშენდა, ათასი ქოლგა... ათასი ფერი... წვიმის წვეთებს რიტმულად გააქვს კაკუნი ხეთა ფოთლებზე და მეჩვენება, თითქოს წვრილ ქუსლებზე შემდგარი ქოლგიანი გოგონა მოაბაკუნებს ჩემს გვერდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიქრები ახალწლის ღამეს

ჩემო კარგო მიწავ! შენ გიყვარს, ალბათ, ყველაზე მეტად ეს გაუხეშებული ხელები. ამ ხელებმა მოგამზადეს იმისათვის, რომ წლის ბოლოს 186 ათასი ტონა ჩაი მოგვეკრიფა, 248 ტონა ყურძენი ჩაგვეტია გოდრებში, 50 ათას ტონაზე მეტი კარტოფილი აგვეღო.

შენ გიყვარს, ალბათ, ყველაზე მეტად ეს გაუხეშებული ხელები, იმიტომაც, რომ 61 ათას ჰექტარ პლანტაციას ისინი ევლებიან, 100 ათას ჰექტარ ვაზს ისინი ახარებენ, 5 ათას ჰექტარზე შაქრის ჭარხალს ისინი თესენ. კიდევ რამდენი ძირი ხეხილის მოვლა დასჭირდათ, რამდენი ათასი ცალი ციტრუსი მოკრიფეს.

ჩემო კარგო მიწავ! ახლა უფრო ტკბილია შენზე ფიქრი, როცა ახალი წელი დადგა. ბევრი რამ კარგი მოგვეცი იმ წელს, ბევრი რამ კარგით გაახარე ჩვენი საქართველო!

— სულ ამ ხელების წყალობით, სულ



სვეტლანა გაბელია

ამ ადამიანების შრომით, — იტყვი შენ და მეც გეთანხმები. განა ხალხის იმედი რომ არ იყოს, იფიქრებდა კაცი 1970 წლისთვის ჩაის პლანტაციები 70 ათას ჰექტარამდე გაზარდოს, 285 ათასი ტონა ჩაი მოკრიფოს, ვენახი 150 ჰექტარზე ახაროს, აქედან 850 ათას ტონამდე ყურძენი მიიღოს. განა ეს ადამიანები 1970 წლისათვის დღესვე რომ არ ზრუნავდნენ, მომავალი წლების საძირკველს დღესვე არ აშენებდნენ, გაბედავდნენ ასეთ ფიქრს?

მომავალზე ახლავე ფიქრობენ ბევრ რაიონში, ბევრ სოფელში, ბევრ სახლში.

შევიხედოთ ამ სახლებში.

ვნახოთ, როგორ ხვდებიან ახალ წელს, რას ფიქრობენ მომავალზე ბათუმის რაიონის სოფელ ერგეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლეილა ლეონიძე, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის მეჩაიე ქეთევან გოგიტიძე, მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის რგოლის ხელმძღვანელი კლარა ნაცვალაძე, ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათის საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლე სვეტლანა გაბელია, კასპის რაიონის სოფელ ხოვლეს მეჭარხლე ფლორენცია ბაისონაშვილი.

## ლეილა ლეონიძე:

1965 წელი დამთავრდა. უკმაყოფილო სულაც არა ვარ შარშანდელი წლით. რისი გაკეთებაც შეეძლო ჩვენს კოლმეურნეობას, გავაკეთეთ. 388 ტონა ჩაის ნაცვლად 395 ტონა ჩაი მოვკრიფეთ. ამინდმა ხელი არ შეგვიწყო. გაზაფხული გვიან დაიწყო, მერე გვალვებმა ბუჩქებს სული ამოხადა. არ შევშინებულვართ. ბუნების წყალობას ვერ დაველოდეთ. მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ ნაკისრ ვალდებულებებს შესრულება უნდოდა. კიდეც შევასრულეთ. გეგმის გადამეტებით ჩავაბარეთ არა მარტო ჩაის ფოთოლი, არამედ ციტრუსებიც.

ჩვენი ლამაზი, მთაზე შეფენილი სოფელი კიდევ უფრო გალამაზდა. სოფლის ცენტრთან დამაკავშირებელი დიდი ხიდი ავაგეთ. 1965 წელს დამთავრდა წყალგაყვანილობა და რადიოფიცირება ორ დასახლებაში.

ახალი წლიდან სკოლის ახალი შენობის აგებას შევუდგებით, ორ კილომეტრზე საპლანტაციო გზას გავიყვანთ, 2 კილომეტრზე ასფალტი დაიგება სოფელში.

## ქეთევან გოგიტიძე:

ყოფილხართ ბობოყვათში? თუ არ ყოფილხართ, უსათუოდ მობრძანდით. როცა ნახავთ, მაშინ იტყვით, რომ სოფელი კეთილმოწყობილია. ადამიანების გასაცნობად ყველასთან მისვლა არ დაგჭირდებათ — მობრძანდით სოფლის მშრომელთა მიღწევების გამოფენაზე. აი, აქ ნახავთ, რა შეუძლია ბობოყვათელ კოლმეურნეს. სოფელს 80-მდე უმაღლესდამთავრებული ჰყავს. ეს არ არის ძველი ბობოყვათი, როცა წერა-კითხვა თითო-ოროლამ იცოდა.

ჩემი სოფელი ახალი ბობოყვათია. მე მიყვარს იგი. ვშრომობ მისთვის, რომ კიდევ უფრო მდიდარი იყოს ჩემი კოლმეურნეობა. ვშრომობ დილიდან საღამომდე, ყოველდგვარ ამინდში. ისე ვერ მოიკრიფებოდა 8 ტონა ჩაი, ისე არ დამასახელებდნენ მოწინავე მეჩაიედ, ისე არ გამაგზავნიდნენ 1965 წლის ნოემბერში საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკურ შეკრებაზე. იქ სიტყვით გამოვედი. იქ სხვების ნათქვამიც მოვისმინე. დავბრუნდი სოფელში და ახალი საფიქრალი გამიჩნდა: უკეთესად მოვუარო ჩემს პლანტაციას, მოვკრიფო მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაი.

## კლარა ნაცვალაძე:

მინდა ჩემი სოფლის მეჩაიეთა სახელით მივულოცო წარმატებები ქართველ მევენახეებს. მართლაც, რომ პირნათლად იშრომეს. გულწრფელად გვიხარია მათი გამარჯვება. მაგრამ არც ჩვენს კოლმეურნეობას შეურცხვენია თავი. ასკანელებმა 850 ტონა ჩაის ნაცვლად 1.000 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. ჩემს რგოლში, რომელიც კომუნისტური შრომის რგოლის სახელს ატარებს, არავის უზარმაცია. ენთუზიაზმი ისეთი დიდი იყო, რომ რგოლის წევრებმა 4,5 ჰექტარზე 30 ტონა ჩაის ფოთლის ნაცვლად 47 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. ჩვენს შორის იყო ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა. ის ჩვენი რგოლის საპატიო წევრია. ვალენტინამ გულწრფელი წერილით მოგვილოცა წარმატება.

რგოლში ყველა წევრი საშუალო განათლებითაა. მე და ნარგიზა ჩხაიძე კი უმაღლეს სასწავლებელში დაუსწრებლად ვსწავლობთ.

1966 წლისათვის თავდადებული შრომის გარდა რგოლის წევრები ერთ პირობასაც იძლევიან: იცხოვრონ სოფელში და ისე მიიღონ უმაღლესი განათლება.

## სვეტლანა გაბელია:

სოფელ უშაფათის საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასში ვსწავლობ. ჩვენი სკოლის მოსწავლეები კოლმეურნეობაში ჩაის საკრეფად დავდივართ. 1965 წელს კოლმეურნეობაში 4 ტონა ჩაი მოვკრიფე. სწავლაში ფრიადოსანი ვარ. მაგრამ ეს არ მაკმაყოფილებს. 1966 წელს ჩაის კრეფის ფრიადოსანიც გავხდები.

ვიბრძოლებ 5 ტონა ჩაისათვის.

## ფლორენცია ბაისონაშვილი:

კასპის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა შაქრის ჭარხლის ჩაბარების გეგმა. ჩემს მშობლიურ ხოვლეშიც ორჯერ მეტი ჭარხლის მოსავალი ავიღეთ. კოლმეურნეობაში სკოლიდან მივედი და 4 წელი შაქრის ჭარხალს ვუვლი. ჩვენგან არც ისე შორს არის ქვემო გომი. იქ ცნობილი მეჭარხლე სოფიო მარიდაშვილი ცხოვრობს. მის შრომით მიღწევებზე ბევრი რამ გამიგონია. სოფიოს არ მინდა ჩამოვრჩე. მინდა გავუტოლდე. ეს არის ჩემი მიზანი 1966 წლისათვის.

თუ ყველამ ასე იფიქრა, მაშინ...

მაშინ ზღვა წამოვა სოფლებიდან — ჩაის, ყურძნის, ციტრუსების, რძის.

ვაშა, ადამიანის მშრომელ ხელებს!

დიდებული იქნება 1966 წელი!



ქეთევან გოგიტიძე



კლარა ნაცვალაძე



ფლორენცია ბაისონაშვილი



ლეილა ლეონიძე

# ნელი თარბა

## ფუტკარი

გაბრუებული მზით და აპრილით
მინდვრის ყვავილებს ჰკრეფდი და მყისვე
გაშალე ფრთები და ჩამაფრინდი,
იჭერე გული და გაქრი ისევ.
მე კი ყოველთვის გთვლიდი მეგობრად,
შრომაში გართულს დღითა და ღამით,
და არ მეგონა, სულ არ მეგონა,
თაფლის მომცემო, გებადა შხამიც.
რისთვის მომგვარე თვალებზე ცრემლი?
გულში არ მედო განზრახვა ავი.
თუ სიბრალული არ გქონდა ჩემი,
რად გაიმეტე, სულელო, თავი?

მე ეს ნესტარიც, როგორც ნექტარი,
მხოლოდ სიკეთეს მომიტანს, მწერო.
რამ გადაგრია აგრე, ნეტავი? —
დღე გაითენე საბედისწეროდ.

გაფრინდი... მაგრამ სად გაფრინდები?
ალბათ, სულს დალევ მალე წვალებით
დაიბინდება თვალწინ მინდვრები,
დაგებინდება რადგან თვალები.

ო, იქნებ ბუკთან დაეცი იქვე,
გამოგელია უეცრად ძალა.
დედა-ფუტკარი იყავი იქნებ, —
რა ეშველება უშენოდ ჯალაბს?!

ბილიკს მივყვები გულდაწყვეტილი,
უხმოდ შრიალებს ცაცხვი ბებერი...
ნაკბენზე უფრო მტკივა, კეთილო,
შენი დაღუპვა შეუგნებელი.

## შემოდგომის სურათები

მჭკნარი ფოთლები
გაფანტვია ხეებს
ფიქრებად,
ზანტი ღრუბლებით
იქუფრება
თავანი ცის;
თითქოს კოკიდან წყალი იღვრება:
წვიმს.

გაოგნებული,
იდუმალი სურვილით სავსე,
მთლად გაძარცული,
შემკრთალი და
ქარით ძლეული,
უიარაღო პატიმრის მსგავსად
ბაღი ნებდება შემოდგომას —
ხელაწეული.
მთელი სიმძიმით,
თითქოს უკვე
მხრებზე აწვებათ,
თითქოს ფიფქებში გახვეულა
დილა ცისმარე.
მეომრებივით
დგანან ქარში
მხოლოდ ნაძვები
და ეზმანებათ თოვლი,
როგორც თეთრი სიზმარი.

## ცაცხვი

ჩაჭიდებია
ცაცხვი მიწას
მძლავრი ფესვებით
და აღუპყრია —
მლოცველივით —
ცისკენ ტოტები;
ხან მზის სხივებით უბე ევსება,
ხან ქარი ებრძვის გაბოროტებით.
ის იკვებება მიწის მადლით,
რომ იდგეს მარად,
რომ არ აკრთობდეს შიში დაცემის.
ცაცხვი ტოტებით
მთელ ეზოს ფარავს
და მის ჩეროში
ისვენებენ ბერიკაცები.
....მშვენებავ სოფლის!
კვლავ ოცნებით
გეალერსები,
ახლა ქალაქშიც, ჩემო ცაცხვო, შენ
მაგონდები —
ჩაჭიდებული მიწას ფესვებით
და აპყრობილი ცისკენ ტოტებით.

თარგმნა აფხაზურიდან
ხუტა გაგუამ

ლია კაკაბაძე

# გვეპატიჟებიან ყველას

რეპორტაჟი

## I. ალაზანი. ცივგომბორი. შირაქი...

ქოჩრის მთაზე ვარ. ქოჩრისას იმიტომ ეძახიან, რომ მოყვანილობით კაცის ქოჩორს ჰგავს. სხვა რამითაც ჰგვანან კაცებს მთები. კაცური ფიქრი იციან. როცა ნისლს მოიხვევენ და შეიჭმუხნებიან, მაშინ კაცებივით დგანან და ფიქრობენ. აი გამოიდარა, ნისლის ქუდს იხდიან და ისე გესალმებიან, გინდა ხელი გაუწოდო.

ვლოცავ მას, ვინაც აქეთკენ გზა მაჩვენა და ამ მოტიტვლებულ მთაზე ერთადერთი ხის ცქერით დამატკბო.

რა კარგი საქმე გააკეთა ჩემმა მეგზურმა, რომ ამ სიმაღლიდან დამანახვა კახეთის ულამაზესი რაიონის — წითელწყაროს მთელი ავლადიდება.

ეს შირაქის ველია, უკიდეგანო, შავზე-შავი მიწა. აქ უკუღმა რომ ჩააგდო მარცვალი, მაინც წალმა ამოვა და ზღვა დაირწევა, პურის ზღვა. კომბაინები ვერ უთავდებიან ლეწვას, ბეღლები ვერ იტევენ მოსავალს, სოფლები ქალიან-კაციანად ამ ველზეა გაკრეფილი და ქართული პურის სურნელება ცამდე ადის. ასეთი მიწა გლეხიკაცის გულის მალამოა, გლეხის სალოცავია. დათესავ? მეტი არაფერი არ უნდა შენი — გაგახარებს.

საოცარი ფერებია შირაქის ველზე. ზოგან სასილოსე სიმინდია შეყვითლებული, ზოგან საშემოდგომო ხორბალს ამოუყვია თავი და ირწევა მწვანე ჯეჯილი. რა ლამაზია შავ ხალიჩაზე ყვითელი და მწვანე ფერები! სულ რომ იარო ასობით კილომეტრი, თვალს ვერ მოაშორებ ამ დალოცვილ, ლამაზ ველს.

შორს, ძალიან შორს ქოჩრის მთიდან შავი ბორცვები ჩანს. მზე ჩადის და ბორცვები ჩრდილებივით დგანან. იქ ქართული ნავთის საბადოებია. საქართველოს ნავთის 90 პროცენტს ისევ დალოცვილი შირაქი გვაძლევს. მომავალი თუ აქვს ამ საბადოებს, აქვს. მეცნიერები, ნავთის მაძიებლები აქ ახალ დიდ მარაგს ვარაუდობენ. ეს არ არის შორეული საქმე. ფიქრით უკვე იხატება თვალწინ მძლავრი ჭაბურღილები.

შორს, ალაზნის ველისაკენ თუ გაიხედავ, ახალ სოფლებს ნახავ. ეს სოფლები მეოცე საუკუნის პირველ წლებში გაჩნდა — ზემო ქედი, ქვემო ქედი, არხილოს კალო. ამ სოფლებში აუცილებლად ასვლაა საჭირო. წითელწყაროში ჩასული კაცი მათი უნახავი თუ წავა, დიდი ცოდვა იქნება. მე მგონი, კახეთში არსად ისე ლამაზად არ ჩანს ალაზნის ველი, როგორც ზემო ქედიდან. გაზვიადებული სულაც არ მეჩვენება ნათქვამი, რომ აქ მოსული უცხოელი ტურისტები უკან ველარ ბრუნდებიან და ზემო ქედიდან ალაზნის ველზე გადახედვის მოლოდინში ღამეს ხევსურების სოფელში ათევენ.

ამ სამ სოფელში ხევსურები, მთიულები და ფშავები ცხოვრობენ. დიდი ვაჟა არის მათი აქ მომყვანი და დამასახლებელი, კაცი, რომელიც კახეთში მეცხვარეებს გამოჰყვა, რომელმაც ალაზნის ველზე ღამეები ათია. დღე ბევრი გავიდა, მაგრამ ვერ გაძღა აქაურობის ცქერით, იმ მდინარით, რომლის ნაპირებზე ატეხილი ჭალები და ტყეებია, იმ შუქის ცვალებადობით, რომელიც მზის ასვლა-ჩამოსვლას მოაქვს და რომელსაც ველზე გადამდგარი მთები ჰქმნიან.

ის რომ მსოფლიო პოეტი არ ყოფილიყო, მისი სახელი მაინც დარჩებოდა იმიტომ, რომ ამ სოფლების შექმნა-დასახლებას ვაჟას მიაწერენ. სილამაზე იქ არ მოაკლდებათ ფშაველსო, რაც უნდა იყოს, მაინც ბარიაო. მიწა კარგია, შავია, მსუქანი, ცივ ქვაზე რომ დაასაძლებს კაცს, ისეთიო. მზე კარგია, ჰაერი კარგია. ერთი სიტყვით, სამოთხეაო. და წამოვიდა ფშაველების რამდენიმე ოჯახი, მათ ხევსურები მოჰყვნენ, მათ — მთიულები. ისეთი ლამაზია აქაურობა მომხიბლავი სახლებით, ლამაზი გოგოებით და უფრო ლამაზი ვაჟებით, რომ ქოჩრის მთიდან თუმც შორს არის, მაინც უნდა დაბლა ჩამოხვიდე, მანქანა იშოვო და ვაჟასეული სოფლები ნახო.

ამ სოფლებიდან დიდ სამამულო ომში ბევრი ხევსური, მთიელი და ფშავი წავიდა და ზემო ქედის შესასვლელში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ობელისკს დგამენ.

არხილოს კალო ისტორიული ადგილია. ხევსურების, ფშავლების, მთიულების მოსვლამდე იგი ნასოფლარო იყო და ეწოდებოდა არ იხილოს კალო. ძველ წარსულში აქ ისეთივე ლამაზი, ჯანმრთელი ბავშვები იზრდებოდნენ, როგორც დღეს. აქ ღონიერი ქართული სოფელი იყო. შემოესია მტერი საქართველოს. აქაურთა გაუტეხელობით განრისხებულმა მომთაბარეებმა ხალხზე ჯავრი იმით იყარეს, რომ ლამაზ, თოთო ბავშვებზე კევრი გადაატარეს. „არ იხილოთო“ — თაობიდან თაობას გადასცემდა ხალხი იმ ამბის მომსწრეთა დანაბარებს. ყველა გაერიდა იქაურობას. გაუკაცურდა ეს ლამაზი ქართული მიწა-სამოსახლო.

ახლა არხილოს კალოს მძლავრი კოლმეურნეობა, მისი შესანიშნავი თავმჯდომარე მიშა კობაიძე, სახელმოხვეჭილი კოლმეურნეები ცნობილი არიან თავიანთი მიღწევებით. მაგრამ ეს არ არის მხოლოდ გასული წლის მონაპოვარი. არხილოელები წარმატებას დიდი ხანია მიეჩვივნენ. არხილოსათვის ახალი ის არის, რომ სულ მალე მის შესახებ იტყვიან: „წადით, იხილეთ არხილო“. ვარაუდობენ, რომ ის იქნება საკავშირო მნიშვნელობის სამკურნალო ადგილი. და არა მარტო საკავშირო. უროლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები, ინსტიტუტის ხელმძღვანელობა მეორე წელია აკვირდება თირკმლებით დაავადებულებზე ამ პატარა სოფლის კლიმატური პირობების სასწაულმოქმედ გავლენას. აქ, 30-საწოლიან საავადმყოფოში ბევრი ლოგინადჩავარდნილი ფეხზე წამოდგა. მშრალი ჰაერი,



ეროვნული ბიბლიოთეკა



მარიამ ჩიტაური

მზე, ყურძენი და სხვა ბევრი რამ ეხმარება ჩვენს მკურნალებს, რომ დაკვირვებისა და შესწავლის საბოლოო შედეგებმა გადასწყვიტოს სოფელში კურორტის აშენება.

სოფლები კიდევ ბევრია, ერთმანეთის მომდევნო, ერთმანეთის გვერდიგვერდ ჩალაგებული: არბოშიკი, ზემო მაჩხაანი, მირზაანი, ოზაანი... ისინი ძველი სოფლებია და ყველას თავისი წარსული, აწმყო და მომავალი აქვს. ერთმა სახელმა მიიქცია ყურადღება: „გამარჯვება" რატომ შეერქვა ძველ უზუნდარას? გამარჯვება ბევრი უნახავს ჩვენს ხალხს, რომელ გამარჯვებაზეა აქ ლაპარაკი? როგორც გვითხრეს, აქ დიდ სამამულო ომში გამარჯვება იგულისხმება. ხალხმა ბევრი რამ გააკეთა მტერზე გამარჯვებისათვის, სხვებს არც უზუნდარელები ჩამორჩნენ. მათ თავიანთი შრომით ტანკი და თვითმფრინავი დაუმზადეს ფრონტს. ხომ იტყვიან ახლა, პატარა სოფელს ბევრი შეუძლიაო.

მზე უკვე გასაქცევად არის და ჰაი, ჰაი, ვეღარც დავიჭერთ. ახლა იგრძნობა, რომ ახლოსაა ცივგომბორი, არც ისე შორსაა თოვლიანი კავკასიონი. მზე ვეღარ გვათბობს და ისე კარგადაც ვეღარ გვინათებს, მაგრამ თუ ყველაფერი უკვე ნახე ქოჩრის მთიდან, არ გაგიჭირდება შემოღამებისას დაინახო მოშორებით კირქვის საბადოები და უფრო ახლოს, პირდაპირ ფეხთან გაწოლილი სოფელი ჯაფარიძე.



ზაირა ალხანიშვილი

თამარის შესანიშნავ ციხესთან კირქვის საბადოების ბაზაზე მესამე წელია მუშაობს დამხარისხებელი ფაბრიკა, რომელიც რუსთავის მარტენის ღუმელებისათვის ამზადებს კირქვას, როგორც ფოლადის შენარევს.

სოფელი, რომელიც ჯაფარიძის სახელს ატარებს, რევოლუციის გარიჟრაჟზე დაიბადა. წინათ მის ტერიტორიაზე რამდენიმე რუსი ემიგრანტის ქოხმახი იდგა. ამ ქოხებში ყუბანიდან გადმოხვეწილი ადამიანები ემალებოდნენ ზამთრის ყინვას, ხოლო ზაფხულობით, რადგან დიდხანს დარჩენას არ ფიქრობდნენ, ეგუებოდნენ გაუვალი ბუჩქნარის ცქერას. ახლოს კი გაწოლილი იყო მდიდარი მიწა — შირაქი. მოსულებს მისთვის არც უფიქრიათ. არც ისე შორს იყო ალაზნის ნაყოფიერი ველი. არც ის აინტერესებდათ. ცხოვრობდნენ შავად წამოკოპწილ ქოხმახებში, ღამით ერთმანეთს ჭრაქის შუქზე ითვლიდნენ, დღისით სახვალიოდ დარჩენაზე ლაპარაკობდნენ, და არ გაეგებოდათ, რა დალოცვილ, ბარაქიან მიწაზე დააბიჯებდნენ.

რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე შიმშილს გამოექცა ხალხი არბოშიკიდან, მირზაანიდან, მაჩხაანიდან და აქ მოიყარეს თავი. ალბათ ასე დასტოვა ნიკალა ფიროსმანიშვილმაც მირზაანი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ის ქალაქში ჩავიდა.

ბუჩქები გაკაფეს ადამიანის ხელებმა, ფეხი მოიკიდეს, ხვალის იმედით გაათბეს ქოხები. მალე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. სოფელში ამბავი მოვიდა, ბაქოს 26 კომისარს შორის ქართველი სტეფანე ჯაფარიძეც დახვრიტესო. სოფლელებმა სტეფანე ჯაფარიძე თავიანთ კაცად იგულეს და მისი გვარი დაირქვეს. ასე გაჩნდა კახეთში ჯაფარიძე! სოფელი რაიონულ ცენტრთანაა და ქალაქში შეუმჩნევლად გადადის. ყველას ლამაზი, კახური წითელწყაროული აგურით ნაშენი ქალაქური ტიპის სახლი უდგას, ყველანი შრომობენ. აქ უხერხული ხდება იკითხო მოწინავეები, რადგანაც თითქმის ყველა კოლმეურნემ ვადაზე ადრე შეასრულა წლიური ვალდებულებანი, ყველამ ბევრი სარჩო-საბადებელი მოზიდა შინ საზამთროდ. ყველას ოჯახშია სიუხვე და კმაყოფილება.



კირქვის კარიერი

ციფრები უმეტესად მოსაწყენია და აუცილებელი არ არის იქ, სადაც საქმე ბრწყინვალედ არის შესრულებული. ის ფაქტი, რომ სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ სახელმწიფოხათვის ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, მზესუმზირის, ხორბლის, თივის, სიმინდის, ბალჩეულის, აბრეშუმის პარკის და ყურძნის ჩაბარების 1965 წლის გეგმა პირველი ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა, სოფლის შვიდასამდე კომლის ცდისა და მუყაითობის, თავდადებისა და კაიკაცობის დამადასტურებელია. ჯაფარიძელები სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული მოძმე სომხეთის შაუმიანის რაიონის 22-ე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობასთან, და გასული წლის შედეგები გვაფიქრებინებს, რომ ისინი, როგორც სხვა დროს, არც ახლა დამარცხდებიან.

ქოჩრის მთასთან ყველაზე ახლოს ჯერ სოფელი ჯაფარიძეა და მერე მისი ბელელი — შირაქი. იმის იქით მისი ვენახებია ალაზნის ველსა და ტარიბანის ველზე, ფერმები — ენამთის ძირას და მილარის ველზე.

ციცგომბორი, ალაზანი და შირაქი ქოჩრის მთიდან შეიძლება ისე მომხიბლავი არ იყოს, როგორც სულ ახლოს, ამ ველებსა და ამ მთებზე გავლისას. ამიტომაც დგანან და ეპატიჟე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თამარ თარხნიშვილი

საოცარი გაზაფხული იცის თბილისში: უცებ მოვარდება, ათასგვარ ფერს შემოგაფრქვევს, ღიმილს აგაკრავს სახეზე, ყვავილებს მოგცემს ხელში, ვარდისფერ კაბას ჩაგაცმევს და გარეთ გამოგიყვანს. და შენ მოდიხარ რუსთაველის პროსპექტზე შენსავით ახალგაზრდა, აშოლტილ ქალიშვილებში და იცინი, იცინი უმიზეზოდ. უცინი მზეს, უცინი ჩიტებს, ჭადრებს. და განა გასაკვირია, თუ ტიციან ტაბიძე თვალს აგადევნებს და იმ დღეს რაღაც ბედნიერი ღიმილით მოგესალმება? რა გასაკვირია, თუ სანდრო ახმეტელი უცებ შეგამჩნევს და იტყვის: აი ასეთი ქალიშვილები უნდა იყოს ჩვენს თეატრშიო?

და თუ გულში საიდუმლოდ ატარებდი ოცნებას, სარკის წინ მალულად იცვამდი დეზდემონასა და ჯულიეტას კაბებს, თუ ზეპირად იცოდი პიესები, იმ ღამეს რა დაგაძინებდა?

ეს დღე იყო და ეს. თამარ თარხნიშვილმა რუსთაველის სახელობის თეატრის კარი მოკრძალებით შეაღო. გაჩირაღდნებულ დარბაზში ტანკენარი ქალიშვილი შევიდა. მაგიდას უსხდნენ კომისიის წევრები: აკაკი ვასაძე, კუკური პატარიძე და სხვები... ვიღაცის თვალმა გაამხნევა და თამამად მივიდა მაგიდასთან. წაიკითხა მკვლელობის სცენა „მაკბეტიდან", მერე ილიას „გახსოვს, ტურფავ", დეზდემონას მონოლოგი, მერე კვლავ „მაკბეტი" გაამეორებინეს...

კი არ მოდიოდა, მოფრინავდა შინ. იქ კი დედა ელოდა — ყველაზე კარგი და დიდი მეგობარი.

მიდიოდა დღეები, დაძაბული შრომით, რეპეტიციებით, კამათითა და ძიებით აღსავსე დღეები.

პირველი სპექტაკლები, პირველი როლები: ცისთვალა—ს. მთვარაძის პიესაში „მთაგრეხილზე" და უკვე წლინახევრის შემდეგ რუქაია — ა. სუმბათაშვილის „ღალატში", იადვიგა — ს. კლდიაშვილის „გრაფის ქვრივში", დორა — გოლდონის კომედიაში — „საპატარძლო აფიშით", მერე „ამერიკის ხმა", „ღრმა ფესვები", „დონ სეზარ დე ბაზანი"...

...სპექტაკლის დაწყებამდე ორი საათით ადრე გამოდის შინიდან. ასე ხდება აგერ უკვე თითქმის სამი ათეული წელია, ხალისიანად გაუღიმებს კარისკაცს და შედის...

აი აქ, მაყურებელთა დარბაზში, დაყოვნდება აუცილებლად. რატომღაც უყვარს აქ ყოფნა სპექტაკლის წინ, როცა ცარიელი დარბაზი, ბნელია, როცა სადღაც სცენიდან ჩამოღვენთილი სინათლე ოდნავ შუქს ჰფენს თეთრ საფარში გახვეულ სავარძლებს, როცა სცენის შუაგულიდან ისმის ჟრუკაკუნი და სცენის მუშაკთა დახშული ხმები. აქ რატომღაც სულიერად ისვენებს, რატომღაც გული ევსება რწმენით...

ბრეხტის „სამგროშიანი ოპერის" დეკორაციები. სცენაზე ბნელა ,მაგრამ იგი მაინც ცხადად ხედავს ყოველ საგანს. სულ უკანასკნელ რიგში ბოლო სკამზე ჩამოჯდება ცოტა ხნით, ჩაფიქრდება, ვინ იცის რაზე, მერე სწრაფი ნაბიჯით მიდის საგრიმიოროში.

და მერე, როცა იწყება სპექტაკლი, სცენაზე შემოდის თამარ თარხნიშვილი — მისის პიჩემი, გავიწყდება, რომ ეს დარბაისელი ქალი სულ ცოტა ხნის წინ გიღიმოდა შუქჩამდგარი თვალებით, ლაპარაკობდა ადამიანთა ცხოვრების ავკარგზე, ხელოვნებაზე, სიყვარულზე... სოციალური ჟღერადობის პიესა — პამფლეტს, შესაძლოა, სწორედ თამარ თარხნიშვილის უნაკლო შესრულება ხდიდეს მხატვრულად ძლიერს. გამომსახველობითს სიზუსტეს აღწევს იგი გაქნილი და მსუნაგი ქალბატონი პიჩემის როლში, რადგან დრამატურგის მანერასთან რიტმულად უფრო მკაფიო და ახლოს არის თამარ თარხნიშვილის მიერ გააზრებული მისის პიჩემის სცენიური სახე.

თამარ თარხნიშვილი ცხოვრობს და ქმნის წმინდა გულით, ადამიანებთან მუდმივი და კეთილი ურთიერთობით. მისი როლები მნიშვნელოვანია არსით, და ამავე დროს უაღრესად უბრალო.

ვ. კანდელაკის „ქართლის ჩირაღდნებში" — ნინო მაღალაშვილი. ამ სპექტაკლამდე, შეიძლება ითქვას, თამარ თარხნიშვილს ასე ნათლად და



რუქაია — „ღალატი"

დამაჯერებლად არ გამოუვლინებია თავისი დრამატული ნიჭი. მან შექმნა მოწინავე, მტკიცე, ნებისყოფიანი გმირის სახე, მომხიბლავი ქალის პორტრეტი. ეს სპექტაკლი იმითაც იყო საინტერესო, რომ აქ პირველად გამოვიდა წარმატებით მსახიობთა ოჯახი: გიორგი საღარაძე (თედო), გურამ საღარაძე (რევაზი) და თამარ თარხნიშვილი-საღარაძე (ნინო).

ბრონისლავ ნუშიჩის სატირულ პიესაში — „ფილოსოფიის დოქტორი“ თამარ თარხნიშვილი დიდი სიმართლით ანსახიერებს მარას — ჟივოტას მეუღლის როლს და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით ხატავს დედის სახეს. ძუნწი, მაგრამ მეტყველი სცენური ხერხებით არაჩვეულებრივად გვაგრძნობინებს, რომ გადაჭარბებულ დედობრივ სიყვარულს თურმე სიკეთე როდი მოაქვს.

გოუსა და დ, იუსოს პიესაში — „ღრმა ფესვები“—რთული და წინააღმდეგობრივი პერსონაჟია ალისა. მისი გაკიცხვისას მსახიობი თამარ თარხნიშვილი არ ალარიბებს ამ სახეს, მაგრამ შეგნებული სიმკვეთრით გვიჩვენებს, რომ მისი გმირის ძირითადი თვისებაა უსაზღვრო პატივმოყვარეობა, რაც ესოდენ დამახასიათებელია მისი სოციალური წრის წარმომადგენლისათვის.

ალ. აფხაიძის „არაგველებს“ დიდი წარმატება ჰქონდა თბილისში. ანას რთულ და საინტერესო სახეს მოფიქრებულად და საზრიანად, უმცირესი დეტალის გათვალისწინებით განასახიერებდა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი თამარ თარხნიშვილი.

... რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი დგამდა კოპოუტის პიესას: „როცა ასეთი სიყვარულია“. თამარმა, შესაძლოა, პირველად იგრძნო ნამდვილი შემოქმედებითი წვა. მსახიობები და რეჟისორი მუშაობდნენ დილით — საერთო რეპეტიციამდე და ღამით — სპექტაკლის შემდეგ, ხშირად სამ საათამდე. შინ ბრუნდებოდნენ ალგზნებულები და სხვა არაფერზე შეეძლოთ ფიქრი, გარდა „ასეთი სიყვარულისა“. მიხეილ თუმანიშვილმა შეადუღაბა მსახიობები, ყოველდღე მოდიოდა ახალი აზრებით, საინტერესო ჩანაფიქრებით. მსახიობები ხედავდნენ, როგორ იწვოდა რეჟისორი და თვალებში შესცქეროდნენ. და თუ მსახიობი ვერ აღწევდა მიზანს, საოცრად ნაღვლიანი უხდებოდა თვალები რეჟისორს. ეს იყო ყველაზე ძნელი ასატანი. თამარ თარხნიშვილმაც იწვნია ეს, იწვნია და უცებ იგრძნო, თუ ახლა, აი ამ წუთს მთლიანად არ დაძაბავდა ნებისყოფას, თუ ერთი წუთითაც კი არ იქნებოდა აქ, თუ მთლიანად, მთელი სხეულით, ტვინით, გრძნობით არ მიეცემოდა სტიბორის დედის გრძნობებს — ყველაფერი წყალში გადაეყრებოდა. ეს იყო სცენა ვაჟიშვილთან — სილის გარტყმის წინ, უკანასკნელ აქტში. თამარმა რამდენჯერმე გაიმეორა ეს სცენა. მიხეილ თუმანიშვილი კი იმეორებდა და იმეორებდა:

— ერთხელ კიდევ, კიდევ! კიდევ ერთხელ!

თვალები მტრული ჰქონდა და ჯიუტი. თამარს კი — ცრემლით სავსე. მაგრამ რეჟისორის თვალი ამხნევებდა, გეზს აძლევდა.

და დაიწყო სცენა. რეჟისორს არ შეუწყვეტია, მხოლოდ მსახიობს ქვეშეცნობილად, ყრუდ ესმოდა მისი სიტყვები: ასე! აი, ეს მესმის!

დამთავრდა სცენა. ჩვენი შესანიშნავი სცენის ოსტატი სერგო ზაქარიაძე მიუახლოვდა თამარს და უთხრა: ყოჩაღ, თამარ!

თამარი — სტიბორის დედა, თმაშევერცხლილი, ძნელი ცხოვრებით დამძიმებული მზერით შემოდიოდა მაყურებელთა დარბაზიდან, აღელვებული გაივლიდა მაყურებელთა რიგებს შორის და უცებ სუნთქვა გეკროდა, ცრემლები შენდა უნებურად ყელს გებჯინებოდა. ის კი ხედავდა განსასჯელთა სკამზე საყვარელ ამხანაგებს, თავიანთი დარდით, წუხილით: მატისოვას, პეტრუსს, პეტრუსოვას, შვილს — სტიბორს, და უცებ გრძნობდა რაღაც დიადს, მაგრამ ეს იყო ის, რისთვისაც ასე შეიყვარა თამარ თარხნიშვილმა (და ყველა მსახიობმა) რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი.

* * *

...საოცარი გაზაფხული იცის თბილისში. აუცილებლად გარეთ გამოგიყვანს დიდი ხნით ადრე, სანამ სპექტაკლი დაიწყებოდეს. მოდიხარ რუსთაველის პროსპექტზე შენს უმცროს კოლეგებთან ერთად, მათ აქვთ აშოლტილი ტანი, მეოცნებე თვალები, აღფრთოვანებული შემოგცქერიან და რაღაცას გიამბობენ; შუქჩამდგარი თვალებით უღიმი მათ, რჩევას აძლევ, ეკამათები კიდეც, უზიარებ მომავლის გეგმებს, ესაუბრები მომავალში შესასრულებელ როლებზე...

გახსენდება ასეთივე საოცარი გაზაფხული თბილისში ბევრი, ბევრი წლის წინათ, როცა ასევე იმედებით, თითქოსდა აუხდენელი ოცნებებით სავსე მოდიოდი შენსავით ახალგაზრდა ქალიშვილებში და იცინოდი, იცინოდი უმიზეზოდ. უცინოდი მზეს, ჩიტებს, ჭადრებს.

ლია გოგიჩაიშვილი

სტიბოროვა — „როცა ასეთი სიყვარულია“



მარა — „ფილოსოფიის დოქტორი“



იოკასტა — „ოიდიპოს მეფე“





ნადია სამარინსკაია

ბიან ყველას, ყველას, თავიანთ სიკარგეში ღრმად დარწმუნებულები.

## 2. მწველავებთან

ახლა იქ ზამთარია. ცივგომბორიდან ქარი უბერავს და თოვლს ატრიალებს. მჭიდროდ ნაგებ ოთახებში ღუმელი გათენებამდე იწყებს საქმიანობას და სანამ თავშლით შეფუთვნილი მწველავები გარეთ გაიჭრებიან, ასწრებს ჩაფერფვლას...

გარეთ პირველად ქარი ეგებება და ფერმამდე ჩასარბენ პატარა ბილიკზე ცხვირსა და შუბლს თოშავს. ჩასაფრებულ ქოფაკებს არ ეპარებათ მისი ნაბიჯები, აყმუვლდებიან, აყეფდებიან, მერე იცნობენ მოახლოებულს, „აი, თქვე სამგლევ", — შეუტევს ზაირა. ისინიც დინჯად შემოუვლიან სადგომებს და ისევ ძილს მისცემენ თავს.

მექანიზებულ ფერმაში შრომა არც ისე დასაზარია და ზაირა ალხანიშვილი მისი ლოდინით თვალებგაფართოებულ ძროხებს საალერსო სახელებით ეპასუხება.

მაშ, რა უნდა თქვას მარიამ ჩიტაურმა! სახელმწიფო გეგმის შესრულებაში ზაირას არც ის ჩამორჩება. გასულ წელს ორივემ დიდი გადაჭარბებით ჩააბარეს რძე, მაგრამ მარიამის შრომა მაინც სხვაა. მათი ფერმები ერთმანეთს დაშორებულია. ზაირას თუ ნაკელის გატანა, საჭმლის მიწოდება, წველა და სადგომების დასუფთავება მანქანების გამოყენებით უხდება, მილარის ველზე ნაგებ ფერმაში მარიამი ყველაფერს ხელით აკეთებს.

ცოტა თუ მოიამინდებს, აუტყდება გაწამაწია ზაირას.

— არიქა, ლიზა, — გასძახებს ქავთარაძეს, — მზემ გამოაჭყიტა, მოვასწროთ, სანამ თოვლს წამოჰყრიდეს, გავუღოთ კარები ძროხებს.

სიჩუმეში ჩაძირულ ხეობას მანქანის რახრახი გამოაფხიზლებს. ზაირა სოფელ ჯაფარიძიდან ელოდება კარგ ამბებს ბავშვებზე. შვილები სოფლის სკოლაში დადიან და დედას გული არ უსკდება, სწავლაში იცულლუტებენ და მასწავლებელი მათზე ცუდ ამბავს შემომითვლისო.

ზამთრის გრძელ ღამეებში ტელევიზორი ჰკლავს დარდს დიდ, თბილ სახლზე, თავისი შრომით ნაშენ-ნაგებ ოჯახზე, ორ წამოზრდილ შვილსა და მათთან ალერსზე. იქ ეგულება დოვლათი, საჭმელ-სასმელი, გასული წლის შრომით შეტანილი სახლში, გეგმის გადაჭარბების გამო პრემიით მიღებული ზედმეტი სარჩო და კმაყოფილებას გრძნობს, მისი უკაცო ოჯახი ათი მამაკაცის ოჯახივით წელგამართული რომ დგას.

გაზაფხული სულ სხვაა. გაზაფხულზე თითქოს დარდი თავდება, როცა გარეთ იხედები, როცა მხოლოდ კავკასიონია თეთრი და მზე იქიდან ადრიანად ამოდის. გაზაფხულზე ღამეც იგვიანებს და ზაირას შეუძლია შეურბინოს ნადია სამარინსკაიას, იცინოს, როცა ხედავს, როგორ აგლეჯენ თავებს მადისაგან გადარეული ერთი წლის ხბოები საწოვარებს, როგორ დარბის ნადია თავის „ბავშვებს" შორის და ცდილობს ზედმეტად ცივი ან ცხელი არ შეხვდეს ბოჩოლებს რძე.

— ერთი წელი კიდევ და ასეთი შრომით შენც სახლს წამოჭიმავ ჯაფარიძეში, ჩემი სახლის გვერდით, ჩემო ნადია.

ზაფხული ყველა დროზე მეტად უყვარს. მაშინ ბავშვები თავისთან ჰყავს ზაიარას და მიდიან სამივენი მაღლა მთისკენ. აქ დედა გრძნობს, რომ შვილები მის საქმესაც ეცნობიან და კარგი მშრომელები დადგებიან.

— ოოო, დედო... ოოო, დედო... — მოეფერება ზოგჯერ ბავშვი ძროხას და შესჩივლებს დედას, რატომ არ მიკარებსო.

ისინი ზაირას მეტს არავის იკარებენ; ისინი რძესაც კი არ აძლევენ სხვას ბარაქიანად. როცა ზაირა შვებულებაშია, ჯიუტობენ, მტრულად უყურებენ მის შემცვლელს.

შემოდგომაზე თავი ქუდში აქვთ ჯაფარიძელ მწველავებს, მარტო ზაირას კი არა, მარიამ ჩიტაურსაც, ლიზა ქავთარაძესაც, კიდევ სხვებს. რძის ჩაბარების გეგმა, როგორც წესი, ადრეულ შემოდგომაზე სრულდება.

ამ დროს ფერმებში ხალხმრავლობაა. მანქანები მწკრივში ჩამდგარან და სილოსს ეზიდებიან, იქვე იჭრება სილოსი და საზამთროდ მზადდება.

საღამოობით უკვე იგრძნობა, რომ ცივდება ჰაერი, ახლოვდება დაანგარიშების დრო: ვინ რამდენი იშრომა და ვის რა ერგება. ბევრია იმის მოლოდინში, რომ ახალ ოდებს წამოდგამს, ეზოებში ხეხილს გააშენებს, ვაზს ჩაჰყრის. ამას ყველაფერს მოიტანს შრომა, რითაც ცნობილი არიან ჯაფარიძელები.

ხევები ჩამუქდება, ნისლები ჩამოწვება მძიმედ, საავდრო ღრუბლები მთიდან მთაზე გაებმებიან და მოუხშირებს ჟინჟღლი. მაშინ დაიწყება სოფელში ფიქრი მომავალზე, ახალ წელზე...



# წაუკითხეთ პატარებს



ნუნუ კერესელიძე

## საფრთხობელა

საფრთხობელა, გულხენეშო,
რას დარაჯობ, ჩურჩხელებსო?
მე არ მოვწყვეტ, არა, არა,
თვითონ ბებომ დამიშალა.
შენ მომეცი თვითონ,
რა იქნება ვითომ?

## ფეხა-ფეხა

მივსეირნობთ მე და დედა,
ფეხა-ფეხა, ფეხა-ფეხა.
გაუკვირდა ტროლეიბუსს,
თითქმის ჭადარს შეეჩეხა,
მავთულებზე ხელი უშვა,
მოძრაობა შეაფერხა.
ბაკი, ბუკი, ბაკი, ბუკი,
მზეც მოგვყვება ფეხდაფეხა,
მასაც მოწონს, მასაც უყვარს,
სიარული ფეხა-ფეხა.

მარი აბრამიშვილი

## არსენა

შეხეთ, როგორ ჩაუცვამს
ფეხსაცმელი არსენას:
მარცხენაზე მარჯვენა,
მარჯვენაზე მარცხენა.

## ნინილები

წიავ, წიავ,
წიავ, წიავ, —
წივწივებენ წიწილები
ლამაზები, კოპწიები,
ახლად გამოჩეკილები.
დიდხანს დაჭყვეს ბნელ ნაჭუჭში,
ახლა კარი გაღებიათ,
ნავარდობენ მწვანე მოლზე,
დედას კუდში დაჭყვებიან.
ეს ერთი კი აბუზულა,
ნეტავ ხომ არ შეცივნია?
მინდა ხელში ავიყვანო,
მაგრამ კრუხის მეშინია.

დარეჯან აბაშიძე

## ირას კონცერტი

ყვავილების გვირგვინი
თავს უმშვენებს ირას,
ზის და ტკბილად ღიღინებს
ნაკადულის პირას.

იქვე დიდი ნაძვი დგას
და იმ ნაძვის ტოტზე,
ციყვის მთელი ოჯახი
ისმენს ირას კონცერტს.

## ყვინჩილას მოლოდინში

მელას ძმობილი ტურიკო
ეზოში შეპარულიყო.
რად განაბულა ჩირგვშია? —
ყვინჩილას მოლოდინშია.

თამაზ შათირიშვილი

## მოხერხებული ციყვი

ციყვმა თითების კანკალით
დახატა დიდი კაკალი,
ზედ მიახატა თაგუნა,
კაკალიც იმას არგუნა.
ნახატს ახედა, დახედა,
და დაიწუნა თვითონვე:
— კაკალი თაგვს რომ მივეცი,
ჩემთვის რატომ არ ვინდომე?..
თაგუნა კაკალს წაიღებს,
იქნებ ახლოს აქვს ბუნაგი,
რაღაცა უნდა ვიფიქრო
და მოვიშორო მსუნაგი.
ციყვმა იფიქრა, იფიქრა
და ძლივს დაადგა საშველი —
ადგა და თაგვი წაშალა
ვეებერთელა საშლელით.

## დამინახე

აქეთა ვარ, ზაზა, ჭიტა!
მოძებნა რად გაგიჭირდა?
ვეფარები სახლის კარებს,
შენ კი მეძებ შინ და გარეთ.
ნელა-ნელა ვაჩენ სახეს,
ახლა მაინც დამინახე.

გიორგი წერეთელი

## ფინალა და ნიჩაბა

ბატის ჭუჭულს წივ-წივით
უკან მისდევს წიწილი:
— ნიჩაბი გაქვს ფეხებად,
ქექვა არ გეხერხება.

მოუბრუნდა ჭუჭული,
უპასუხა კაცურად:
— მე ნიჩაბი მჭირდება,
რადგან წყალში დავცურავ.
შენ ფეხად გაქვს ფიწალი,
ნაგავს ქექავ მიწაზე,
წყალში რომ ჩაიბიჯო
დაიღრჩობი იმ წამსვე.
ამ დროს ატყდა ღვართქაფი
და წაიღო წიწილა,
შემოხედა „ნიჩაბას“,
მიშველეო, იწივლა.

გადაეშვა ჭუჭული,
პირი სტაცა ფიწალას,
გაიყვანა ნაპირზე,
თუმცა ბევრი იწვალა.

ჭუჭულს ქექვის შნო არ აქვს,
წიწილს — ცურვის უნარი, —
თითო ნაკლი ყველას აქვს,
სხვისი დასაწუნარი.

ტაგუ მეგურიშვილი

## ის მღერის

ის მღერის,
მთვარე ადნება ქარვად
ქალაქს და ტოკავს ალვების რიგი...
მე იგი მიყვარს,
მაგრამ მე არ ვარ
ის, ვისაც უნდა უყვარდეს იგი.
მღერის,
ის ძალზე ლამაზად მღერის,
ხმაში უბრწყინავს ნატვრაც და ცრემლიც....
და ესიზმრებათ ალერსი ხელებს,
რომელსაც დღემდე მოთმენით ელის.
თურმე ის ფიცი იყო ტყუილი,
რომლისაც ასე სჯეროდა მაშინ...
და მარტოობის მძიმე დუმილი
სიმღერის ფრთებით მიფრინავს ცაში.
თითქოს გამოჩნდა ლურჯი ნაპირი,
კვლავ მოწყენილი და დაღვრემილი,
და სიყვარულის ნაზი საყვირით
თავის წარსულში შედის გემივით.
გული, რომელიც ლოდინში ფეთქავს,
მზით და იმედით საზრდოობს მხოლოდ,
და ჩემს ოთახში შემოდის ბედი
ქალის, რომელიც ჩემს გვერდით ცხოვრობს
და იმ წუთების იზრდება ფასი,
როცა მოსწონდა, მაგრამ ითმენდა.
და კლავიშების ქათქათა ქაფში,
დაცურავს მისი თეთრი თითები.
სიცოცხლე ითხოვს სითბოს, ფერებს,
რომელსაც მუდამ ზრუნვა სჭირდება...
და მძაფრი ლტოლვით სავსე ბგერები
აწყდება ფანჯრებს, როგორც ჩიტები
ის მიდის შორს და ის მიდის სადღაც,
ემშვიდობება ალუბლის ტოტით...
და მე რატომღაც მგონია ახლა,
თვითონ ვკარნახობ სიტყვებს და მოტივს.
სულში ლამაზი სურვილი წვეთავს,
ლვივდება სული, მძიმდება სული...
და ნაოჭებში ჩაწოლილ სევდას
ვეღარ იშორებს მაღალი შუბლი.
ის მღერის,
მთვარე ადნება ქარვად
ქუჩებს და ტოკავს ჭადრების რიგი,
მე იგი მიყვარს, მაგრამ მე არ ვარ
ის, ვისაც უნდა უყვარდეს იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოდან ბულგარეთამდე

უცნაური სევდიანი თვალები აქვს და ფერმკრთალი სახე. ერთთავად საქმეშია გართული, ერთთავად ხალხში ტრიალებს, მაგრამ როცა დრო მოახელებს, საოცრად უყვარს თავისთავთან განმარტოვება. განმარტოვდება და გულზე ნაღველი შემოაწვება. ვერავინ იტყვის ჩემი ცხოვრების სარბიელზე ერთხელაც არ შემხვედრია სიძნელე, ერთხელაც არ ჩამოწოლილა შავი ღრუბლებიო, მაგრამ ოლია შენგელიას ცხოვრება ბავშვობიდანვე ღრუბლიანი დღეებით დაიწყო. ხუთი წლისამ მამა დაჰკარგა, 13 წლისას დედა გამოეცალა ხელიდან. ობლად დარჩენილ 9 და-ძმას მამიდა უწევდა დედობას. სოფელ ცაიშის მცხოვრებნი კი მზრუნველობას არ აკლებდნენ. გავიდა დრო. პატარები წამოიჩიტენ. ოლიას გულმაც გამოიდარა. ახლადშეღერებულ, მეოცნებე ქალიშვილს წინ ვარდყვავილებით მოქარგული ნათელი გზა ეზმანებოდა, რომ უცბად, ერთ დღეს, რაღაც დიდისა და საშინელების მოლოდინში გაირინდა სოფელი. დიქტორის აღელვებული ხმა დაირხა ეთერში— ომი!!!

ამ საშინელმა ამბავმა ყველა სახლის კარი დაუკითხავად შეაღო, შეაღო და ყველას დარდი და საფიქრალი მოუტანა. ორღობეებში ფოსტალიონი, უწყებებით სავსე ჩანთით, დააგელვებდა ცხენს. დაძახების გარეშეც, სამხედრო კომისარიატის წინ ტევა არ იყო. აღშფოთებული ადამიანები ეშურებოდნენ სამშობლოს დასაცავად. კომკავშირელ გოგოხას შინ რა გააჩერებდა. სამხედრო კომისარიატმა იგი ერთწლიან საფერშლო კურსებზე გაგზავნა. კურსების დამთავრების შემდეგ ფარაჯიან ქალიშვილს მიაქროლებდა მანქანა. სულ მალე 478-ე მედსანბატი 394-ე დივიზიას შეუერთდა. ოლია მეწინავე ოპერატიულ ჯგუფში ჩარიცხეს. დაიწყო ქარცეცხლიანი დღეები. წელამდი თოვლში ჩაფლული დივიზია შეუპოვრად იცავდა გზას. ავი წივილით დაჰქროდნენ ტყვიები, სკდებოდნენ ნაღმები, ზუზუნლად იწვოდნენ ხეები. ცეცხლის უზარმაზარი ენა ლოკავდა ცას. ბრძოლის ველზე გულშემზარავი სურათი ხვდებოდა თვალს. ფერდებჩალეწილი, შავად შებოლილი სახლები, სოკოებივით დამხობილი უპატრონო მუზარადები, თოვლში ამოწვდილი გაციებული მარჯვენა, დაჭრილთა გმინვა-ძახილი... აქ იყო ოლია, ხან მიხოხავდა დაჭრილებისაკენ, ხან მირბოდა, ღვართქაფად ჩამოსდიოდა ოფლი, სისხლით ჰქონდა შეღებილი ხელები, ძუ ვეფხვივით შემართული სწრაფად უწევდა პირველ დახმარებას დაჭრილ მებრძოლებს. ,,ნუ გეშინია, ძმაო", — ეჩურჩულებოდა ტკბილად და მედსანბატში გზავნიდა...

ქარცეცხლიანი დღეები დღეებს მისდევდა.

...ღამე იყო ცივი და მკაცრი. ღრუბლებში ნელა, ძალიან ნელა მიცურავდა მთვარე. ხანდახან მაშხალები ავარდებოდა სადღაც. სადღაც ყმუოდა შიმშილისაგან გაძვალტყავებული ძაღლი. მტერი დუმდა. კრივოიროგის მისადგომებთან მთელი ღამე ემზადებოდა დივიზია. არც ერთ მეომარს არ უფიქრია იმ ღამეს ძილი. პატრულები ზვერავდნენ გზას, უთვალთვალებდნენ დამპყრობლების ბლინდაჟებს. ინათა. ერთბაშად დაიქუხეს ქვემეხებმა, საბჭოთა თვითმფრინავებმა დაფარეს ცა. ფრონტის ხაზზე კალიებივით გაიშალნენ ტანკები, მეომრები ყიჟინით გადავიდნენ შეტევაზე, თავგზა აბნეულმა გერმანელებმა კრივოიროგი დასტოვეს. ეს იყო დიდი გამარჯვება. მთავარსარდლობამ ამ დივიზიას კრივოიროგის სახელწოდება მიანიჭა და წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა. ცხარე დღეების შემდეგ წუთით შეისვენა დივიზიამ. სიცოცხლის გადასარჩენად ბრძოლა გააჩაღა მედსანბატმა.

ოლიას, მარია ბუგთან და ზინა მგელაძესთან ერთად, საკაცეებით გამოჰყავდა ნახევრადდანგრეული სახლებიდან ნატყვიარი ადამიანები. მძიმედ დაჭრილებს უკან, ზურგში გზავნიდნენ, გზას ულოცავდნენ. უკანასკნელი ავადმყოფი გააცილეს ქალიშვილებმა. უკან მობრუნდნენ. ერთ ადგილას ქვებით ამოხერგილი მიწური შენიშნეს, საეჭვოდ ეჩვენათ, ღონემიხდილებმა ქვები ამოყარეს, კარი აჭედილი აღმოჩნდა. თანარაზმელებს მოუხმეს, კარი გახსნეს და საზარელი სურათი გადაეშალათ თვალწინ: ორასამდე ქალის, ბავშვისა და მოხუცის გვამი ეყარა მიწაზე. სახედახოკილ, გაწამებულ დედებს ბავშვები მაგრად მიეკრათ გულზე და ისე დაელიათ სული. ვერავინ გაბედა ხმის ამოღება. დიდხანს იდგნენ გაშეშებულნი, მერე ფრთხილად, ძალიან ფრთხილად, თითქოს ეშინოდათ ძილი არ დაეფრთხოთ სამუდამოდ მიძინებული ადამიანებისათვის, სათითაოდ გამოასვენეს მიწურიდან, იქვე გათხარეს ძმათა საფლავი, ეს ლომგული ვაჟკაცები და ქალიშვილები გუშინ რომ კრიჭაში ედგნენ სიკვდილს და არწივებს ჰგავდნენ, ახლა მხრებჩამოყრილი იდგნენ საფლავთან, გულში ფიცს დებდნენ, რომ ასმაგად მიუზღავდნენ მტერს...

...1943 წლის აგვისტოში დივიზიამ დნეპრი გადალახა. მერე მდინარე ბუგის ნაპირებს მიადგა. გაჯიქდა მტერი. მთელი ძალები აქ მოაყარა, განუწყვეტლივ გუგუნებდნენ მეტოქის ქვემეხები. მაღლიდან სეტყვასავით ეშვებოდა ბომბები, სისხლმა შეღება მდინარე ბუგი. 394-ე დივიზია ქორივით წამოეპარა დამპყრობელებს, დარტყმა იყო ძლიერი, გერმანელებმა ვერ გაუძლეს. ამ გამარჯვების შემდეგ დივიზიამ ორი კვირა შეისვენა, ოლიას კი ერთი წუთითაც არ დაუსვენია, მედსანბატში ჭრილობებს უშუშებდა მეომრებს, ღამეებს უთევდა.

...დივიზია ისევ დაადგა ძნელად სავლელ გზას. ისევ მოწინავეთ წავიდა ოლია. დნესტრის ნაპირზე ზანზარებდა მიწა, კვნესოდა. შავი ბოლი გველეშაპივით გაწოლილიყო ნაპირზე, მტერი კვლავ სეტყვასავით უშენდა ტყვიებს. ოლია ვერ აუდიოდა ბრძოლის ველიდან დაჭრილების გამოყვანას. გაჭირდა თავის შეფარება. ტყვიები ზუზუნით ეცემოდნენ ქალიშვილის ახლოს. სხვისი ბედით დაინტერესებულ გოგონას, თავისთავი დავიწყებოდა. ერთ დაჭრილს სწრაფად გადაუხვია ჭრილობა, ტყვიამ ავი წივილით გაუარა ყურთან, ქალიშვილი გაწვა. ორიენტაცია უნდა აეღო, თუ საიდან ისროდნენ, შე-

ნიშნა — ვიღაც მოპირდაპირე მხარეს ტყვიების რკალში მოამწყვდიეს, ვიღაც დაეცა, იქეთ გახოხდა; მძიმედ დაეჭრა ბარბაროსებს ზინა მგელაძე, სისხლში ცურავდა იგი. ოლიას მხოლოდ ერთი წამით უმტყუნა გულმა, მერე ჭრილობა სათუთად შეუხვია მეგობარს და მედსანბატისკენ გააქროლა.

...მთელი დღედაღამე გასტანა მკაცრმა ბრძოლებმა. ან დავიხოცებით ან დნესტრს გადავლახავთო — გადაწყვიტეს მეომრებმა და ჯოჯოხეთი დაატრიალეს, ცეცხლის ალში გახვიეს მტრის სანგრები, მერე მოწინააღმდეგის ბანაკის სიღრმეში გადაიტანეს ცეცხლი. გერმანელები შედრკნენ, დაიწყეს უკან დახევა.

— წინ! — ომახიანად დაიძახა მეთაურმა და პირველი თვითონ გადაეშვა წყალში. მეომრები კვალდაკვალ მიჰყვნენ მას. იმ დღეს დივიზიამ ერთხელ კიდევ იზეიმა დიდი გამარჯვება.

...სანთლის ალი თრთოდა მიწურში. მძიმე დაჭრილი იწვა საოპერაციო მაგიდაზე. სისხლი ჟონავდა ვაჟკაცის თავიდან, კისრიდან. ქირურგი მოსეშვილი მოკლე განკარგულებებს იძლეოდა. ოლია და მარია ბუჟი სწრაფად ასრულებდნენ მის განკარგულებას, და უცბად, თითქოს დედამიწა შეინძრაო, რაღაც ყრუდ აგუგუნდა. მერე საშინელი აფეთქების ხმამ გააყრუა იქაურობა და მიწური ჩამოწვა. ძალიან შორიდან შემოესმა ოლიას სანიტარის ხმა: „გვიშველეთ!“ მერე ყველაფერი წყვდიადმა დაფარა. ოლიას სული შეეხუთა, როცა გონს მოეგო და თვალები გაახილა, ქირურგი მოსეშვილი ადგა თავზე.

— გადავრჩით, ყველა გადავრჩით? — აღმოხდა ქალს და ფეხზე წამოიჭრა. მიიხედ-მოიხედა, ეძებდა ვიღაცას, ეძებდა მარიას, სამუდამოდ სმენადახშული და თვალდახუჭული მარია კი იქვე ესვენა. გულდამძიმებული მეომრები საფლავს თხრიდნენ მისთვის.

...1944 წელს ოლია შენგელია რუმინეთში იყო, მერე ბულგარეთში გადაინაცვლა — და აი, იქ მოუსწრო გამარჯვების სალუტებმა, იქ, იმ უცხო მიწაზე შეიგრძნო დიდი სიხარული მისმა გულმა...

• • •

ახლა გმირი ქალიშვილი გუდაუთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს მთავარ ბუღალტრად, ეს ის ქალიშვილია, რომელმაც ყველაფერი გააკეთა სამშობლოს დასაცავად ბულგარეთამდე იარა, ასახელა სამშობლო და ისახელა თავიც.

საოცარი სევდიანი თვალები და ფერმკრთალი სახე აქვს ამ ქალიშვილს. ერთავად საქმეშია გართული. ერთავად ხალხში ტრიალებს, მაგრამ, როცა დროს მოახელებს, უყვარს თავისთავთან განმარტოება, განმარტოვდება და გულზე ნაღველი შემოაწვება. ეს ის ნაღველია, რომელიც იმ ბედუკუღმართ დღეებში დაუტოვა მარია ბუჟმა და სხვა ბევრმა თანატოლმა, რომლებიც გმირულად იცავდნენ მშობლიურ მიწას და რომლებსაც შუა გზაზე შემოაღამდათ.

ოლია რევია

10052.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ჭენია

# შემინათვალი

თეთრი ტაძარი გრანიტის ორი გლობუსით შემჯენოდა ცარგვალს და ღუზაჩაშვებულ ხომალდივით თვლემდა სექტემბრის მზეზე. მწვანე ზღვა ტორტმანებდა ტაძრის ირგვლივ; დინჯად შრიალებდნენ ხეები — თითქოს ჩურჩულით უამბობდნენ ურთიერთს იმ ბრძენი კაცების ამბავს, ხეთა ჩრდილში რომ გაქვავებულიყვნენ მარადიული დიდების ნიშნად. ახალგაზრდების ჟრიამულს პირთამდე აევსო ეზო-მიდამო — მზისა და სიცოცხლის საბრძანებელი.

სტუდენტები აუდიტორიებისაკენ მიიჩქაროდნენ, ჯურხა ქეთელაური კი გაოგნებული დასჩერებოდა მომცრო შადრევანს და ნაბიჯის გადადგმა უჭირდა, პირი უშრებოდა, წყურვილი კლავდა, წყლის დალევას ვერ ახერხებდა.

გასამდა! ეხლა კი ნამდვილად გარიცხავენ! ჯერ იყო და, სწავლის დაწყებამდე, დურმიშხანმა წაიყვანა თელავში — დის ქორწილზე და სამი დღე გააცდინა, — ამხანაგს უარი ვერ უთხრა; შემდეგ ის იყო: ცქიტიშვილსა და ნაჭყებიას სტადიონზე ჩხუბი აუტეხეს, ჯურხაც იქ იყო... როცა მის თანაკურსელებს გაუჭირდათ, მანაც გამართა მკლავი და სამივენი დააკავეს, დირექციას აცნობეს; გუშინ კი, ლექციებიდან გაპარულ ამხანაგებს ისიც გაჰყვა და ახლა ჯურხას გულში შიში ჩაუდგა. ამდენ დარღვევას არავის აპატიებდა რექტორი, მიუხედავად იმისა, რომ გულკეთილი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი სტუდენტებში.

ჯურხას რექტორთან უხმეს.

— მამას მოიყვან, ქეთელაურო. ისე ლექციებზე არ დაგიშვებთ.

— მაპატიეთ, პატივცემულო, დანაშაული! ამხანაგებს ვერ გამოვაკლდი. მამამ დამაბარა ქალაქში წამოსვლისას: მათთან იყავი ჭირშიც და ლხინშიცო...

— მამას მოიყვანთ! — შეუვალად ბრძანა რექტორმა და ისეთი დუმილი გამეფდა წამით, ჯურხა იფნის სახრესავით გაიზნიქა.

— მამას ვერ მოვიყვან, პატივცემულო! ესეც არ იყოს, სოფელში შერცხვენილ ასვლას სიკვდილი მირჩევნია!.

— როცა აშავებდი, მაშინ რას ფიქრობდი?!

— დამსაჯეთ, პატივცემულო. გნებავთ მცემეთ! თქვენ თუ გეთაკილებათ აი, ჩვენს დარაჯს დაავალეთ, ჯანიანი კაცია, — ცრემლები მოადგა ჯურხას.

რექტორმა ხელი მაგიდის კიდეს ამოდო მსუბუქად. კარების მიღმა ზარის წკრიალი გაისმა ყრუდ. მდივანი ქალი კაბინეტში შემოვიდა.

— გაამზადეთ ბრძანების პროექტი ქეთელაურის უნივერსიტეტიდან გარიცხვის შესახებ.

მდივანმა ჯურხა კაბინეტიდან გაიყვანა ხელის მსუბუქი მოძრაობით.

...მგელიკა ერთი დღით მობრუნებულიყო ცხვარიდან, მარილი დაკლებოდათ და სახლში დაუხვდა ქალაქიდან ასულ ჯურხას. ჯურხას არაფერი დაუფარავს, ყოველივე დაწვრილებით უამბო მამას.

მგელიკამ ცალი თვალი მოხუჭა და ისე ჩახედა შვილს სახეში, მიხვდა: — არ ტყუოდა ბალღი!

ნიჩბის სიფართე ტორი მოისვა სახეზე და მერე ეს თქვა:

— მე ვერ წამოვალ. ფარას ვერ დავაგდებ. ქაღალდს მიგიწერ რექტორთან.

— წერილი არ გასჭრის, მამი! — შებედა ჯურხამ.

— შენ მიუტანე! თუ არ გასჭრის, უკან ამოდი — კომბალს არ დაგამადლი!

მგელიკა დაჯდა ბარათის საწერად...

ჯურხამ ბარათი მიართვა რექტორს და სუნთქვა შეეკრა მოლოდინში.

რექტორმა კონვერტს თავი წააჭია, გადაიკითხა და ოდნავმა, შეუმჩნეველმა ღიმილმა გაიციალა მის თვალებში.

ეს ღიმილი დაინახა ჯურხას ზომაზე მეტად დაძაბულმა მზერამ, დაინახა და თავზარი დაეცა, — მამის ნაწერს დასცინისო, — გაიფიქრა

— რას აკეთებს მგელიკა ქეთელაური?!

— ცხვარს უდგას — სარქალია, — ძლივს მოუყარა სამ სიტყვას თავი ჯურხამ.

— აუდიტორიაში წადი! — თავაუღებლად უთხრა რექტორმა და ისევ მგელიკას ბარათს დააცქერდა. რვეულის შეუყვითლებულ ფურცელზე სულ რვა სიტყვა ეწერა:

„ხმალი გიგზავნე სალესად, დაჟანგულს რად მიბრუნებ, სწავლულო კაცო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიჯნურობა „ვეფხისტყაოსანში"



რუსთაველის დღეებისათვის

„სიყვარული აგვამაღლებსო" — უანდერძა შთამომავლობას ქართულმა გენიამ შოთა რუსთაველმა. სიყვარულის ამ მარად გაუხუნარ, ამაღლებელ და კეთილშობილურ გრძნობას უმღერის ჩვენი ერის საუნჯე „ვეფხისტყაოსანი" და მისი მთავარი გმირების — ნესტანისა და ტარიელის, თინათინისა და ავთანდილის ურთიერთ სიყვარული, მათი წრფელი მიჯნურობა რჩება ჩვენი დროის ახალი ადამიანის ზნეობრივი ცხოვრების მასულდგმულებელ ძალად, მის შთამაგონებლად, მისი მისწრაფებებისა და ოცნებების უშრეტ წყაროდ.

სიყვარულის, მიჯნურობის რომანტიკის გარეშე წარმოუდგენელია კომუნისტური საზოგადოება. იგი საფუძველია ოჯახური და საზოგადოებრივი ბედნიერებისა, რომელიც დიამეტრალურად განსხვავდება თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში დასავლეთში არსებული „სიყვარულისაგან", რაც მარტოოდენ დამყარებულია ანგარებასა და ტყუილზე, „სიყვარული" მხოლოდ თენთავს ადამიანს, და გამიზნულია მხოლოდდამხოლოდ „დროის უკეთ მოკვლისათვის".

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" ჯანსაღი სიყვარულის უბერებელი ჰიმნია, რომელიც საუკუნეთა მანძილზე უქადაგებს და ასწავლის ახალგაზრდობას ამ უაღრესად ფაქიზი და წმინდათაწმინდა გრძნობის უკვდავ ცხოველმყოფელობას. იგი თვალნათლივ აჩვენებს, თუ როგორ ალამაზებს, ახალისებს და ღრმა აზრიანს ხდის ადამიანის სიცოცხლეს ეს გრძნობა, როგორ შთააგონებს მას ბრძოლას საზოგადოებრივი სიკეთისათვის და როგორ მოუწოდებს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს გმირობისა და მამაცობისაკენ.

„ვეფხისტყაოსნის" ავტორს მიჯნურობა მიაჩნია უძნელესსა და, ამასთან ერთად, აუცილებელ და საჭირო საქმედ. პოეტმა ჯერ კიდევ პოემის პროლოგში მიჯნურობის, სიყვარულის მთელი ზნეობრივი კოდექსი ჩამოაყალიბა და ყოველმხრივ დაახასიათა, როგორც ეს „ტურფა" ამამაღლებელი გრძნობა, ისე ამ გრძნობით აღვსილი ჭაბუკები და ქალიშვილები.

რუსთაველისა და მისი უკვდავი პოემის გმირებისათვის უცხო და მიუღებელია მდაბიო ჟინის აყოლა, შიშველი, ხორციელი წადილი, სიძვა... პოეტი მკაცრად ასხვავებს ერთმანეთისაგან მიჯნურობას, წრფელ სიყვარულსა და ზნეობრივი ცხოვრების სიმდაბლეს — სიძვას. იგი პოემის შესავალშივე აფრთხილებს მკითხველს:

„მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი,
ნურვინ გარევთ ერთმანეთსა, გესმას ჩემი ნაუბარი."

ნამდვილი მიჯნურობა, ქალ-ვაჟის სპეტაკი და წმინდა სიყვარული მუდამ იყო, არის და იქნება პოეზიის უმთავრესი და ძირითადი შთამაგონებელი წყარო. პოეზია ხომ ადამიანის სულის სიმშვენიერეა და მიჯნურობა კი ამ სიმშვენიერის გვირგვინი, მისთვის უცხო და მიუღებელია ზერელობა, ცვალებადობა, გაუტანლობა და სულსწრაფვა. შოთა რუსთაველი მიჯნურად არ თვლის იმას, ვინც თავის გულისთქმას ვერ იოკებს ერთის სასიყვარულოდ და „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა". პოეტი ახალგაზრდებს, რომელთაც სიყვარულის უქრობი ცეცხლი მოდებიათ, ღრმა დამრიგებლობით მოუწოდებს არ აყვნენ ცდუნებას, ნუ იქნებიან ცვალებადნი თავიანთ გრძნობებში და „გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიჰხვდეს, თუნდა ქუში".

„ვეფხისტყაოსნის" გამიჯნურებული გმირები მორალურად, გონებრივად და ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანებია, რომელთათვისაც სიყვარული მაღალზნეობრივი საამქვეყნო გრძნობაა. ამ მხრივ პოეტი არ ასხვავებს ქალსა და კაცს. ნესტანი პირველი უმჟღავნებს ტარიელს თავის გრძნობას, პირისპირ შეყრისას იგი ტარიელს ეუბნება:

„თუცა ჰმართებს დედაკაცსა მამაცისა დიდი კრძალვა,
მაგრამ მეტი უარეა არა თქმა და ჭირთა მალვა:
მე თუ ზე-პირ მიცინია, ქვე-ქვე მითქვამს იდუმალ ვა;
ძოღან ქალი გამოგვგზავნე, ვქმენ მართლისა შემოთვალვა."

ხშირად ქალები შთააგონებენ თავიანთ მიჯნურებს სამშობლოს, ქვეყნისა და ხალხისადმი სამსახურის დიად იდეებს. პოეტისათვის მიჯნურობა არ არის რაღაც გასართობი ან მხოლოდ „ოხვრა-კვნესის" გამომწვევი ძალა, არამედ იგი უნდა იყოს და არის კიდეც სტიმული მაღალი, კეთილშობილური საქმების შესასრულებლად. როგორც ღრმად შთამაგონებელი მოწოდება ისე ჟღერს დღესაც ნესტანის მიმართვა მიჯნურობისაგან გონდაბნეულ ტარიელისადმი:

„ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია!"

ეს „საგმირო საქმენი" უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრივი მოვალეობის ღრმა შეგნება, სამშობლოსადმი სიყვარული, მისთვის თავდადება და ერთგულება, მშობელი ქვეყნისა და ხალხის სამსახურია. პირველივე შეხვედრის დროს მიჯნური ნესტანი თავის სატრფოს ტარიელს ავალებს — „წა, შევბი ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენეო". ასევე, ფრიად მძიმე დავალებას აძლევს თინათინი თავის მიჯნურ ავთანდილს: უცხო მოყმის საძებნელად გზავნის და ამ დავალების პირნათლად შესრულებაში ხედავს მათი სიყვარულის სიმტკიცეს — „შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გამაჯერეო" — უცხადებს თინათინი ავთანდილს.

ვაჟკაცის ნებისყოფა და ხასიათი იწრთობა სიყვარულის, მიჯნურობის უშრეტი ცეცხლით. რუსთაველის თქმით, მიჯნური ვაჟკაცს გარეგნული სიმშვენიერესთან, ფიზიკურ სრულყოფასთან და გონებრივ სიფხიზლესთან ერთად უნდა ახასიათებდეს დიდი მორალური სიწმინდე. იგი ამბობს:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა;
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყრმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა".

ეროვნული

შოთა რუსთაველი ისეთ სიყვარულს ქადაგებს, რომლის კანონიერი შედეგი მეუღლეობაა. პოემის უმთავრესი გმირების — ტარიელისა და ნესტანის უბედურება, ტრაგიზმი ნესტანის ძალდატანებით ქორწინების ცდამ გამოიწვია. „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს თავისუფალ, ძალდაუტანებელ სიყვარულზე დამყარებული ცოლ-ქმრობა მიაჩნიათ მიჯნურობის არსებით მიზნად. ისინი გაუტეხელი ფიცით ეკვრიან ერთმანეთს და მათთვის ღალატი წარმოუდგენელია.

„ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,
მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი,
სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი“.

უცხადებს განშორებისას თინათინი თავის მიჯნურს ავთანდილს. როგორც ვიცით, შოთა რუსთაველის პოემის გმირებმა არ შებღალეს თავიანთი ფიცი და, მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა, უმიწკვლოდ გამოატარეს სიყვარულის, მიჯნურობის უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობა.

„სიყვარულის თავისუფლება, სიყვარულზე დაფუძნებული ნებისყოფითი მეუღლეობა გულისხმობს მეუღლეთა მ ო რ ა ლ უ რ  თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა ს, რუსთაველი უარყოფს შეუღლების ცალმხრივობას. მისი აზრით, ქორწინებით დაკავშირებული ქალ-ვაჟის სწორედ მ ე უ ღ ლ ე ნ ი უნდა იყვნენ, ისინი ნებაყოფლობით და თანაბრად უნდა ეწეოდნენ მეუღლეობას, საერთო ოჯახის ტვირთს. ასეთი მეუღლეობა საწინდარია როგორც მეუღლეთა პირადი ბედნიერებისა, ისე საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და კეთილზნიანობის უცილობელი პირობაა“ (ალ. ბარამიძე).

რუსთაველის მაღალზნეობრივი იდეალები ძალუმად ეხმოვანება ჩვენს ეპოქასა და დროს. იგი, როგორც სხვა იდეებით, ისევე სიყვარულის და მიჯნურობის საკითხშიც ერთგული და ბრძენი მასწავლებელი, გზისმანიშნებელია ჩვენი ახალგაზრდობისათვის, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ გმირებივით სძულს „უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში“ და რომლისთვისაც სიყვარულია „საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“.

**ნოდარ ალანია,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.




# ოპერა

## რუსული ოპერა

უდავოა, რომ იტალიურმა ოპერამ მეტად პროგრესული როლი შეასრულა მსოფლიო საოპერო ხელოვნების განვითარებაში. მან ხელი შეუწყო ამ უაღრესად პოპულარული, ხალხისათვის ესოდენ საყვარელი ჟანრის დაბადებას მრავალ ქვეყანაში. მან გამოაცოცხლა თეატრალური ცხოვრება, მოაჯადოვა მსმენელი სილამაზითა და მელოდიით.

ამიერიდან ოპერა იქცა ხალხის სულიერი ცხოვრების განუყრელ ნაწილად. ასე მოხდა ევროპის მრავალ სახელმწიფოში, ასე მოხდა რუსეთშიც.

მაგრამ იტალიური ოპერის სრულუფლებიანმა ბატონობამ დროთა განმავლობაში გამოიწვია ბევრი ქვეყნის ხალხთა აშკარა პროტესტი. პროტესტი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ყოველ ერს სურდა თავისი საოპერო ხელოვნება ჰქონოდა, ყოველ ერს სურდა სცენაზე ეხილა თავისი სამშობლოს წარსული და აწმყო, თავისი ხალხის ყოფაცხოვრება. თითოეული ოცნებობდა მოესმინა მშობლიური მელოდიები, თავისი თვითმყოფადი ხელოვნება. მეცხრამეტე საუკუნეში, თითქმის ერთდროულად, ევროპის ყველა ქვეყანაში დაიწყო ბრძოლა ეროვნული ხელოვნების აღორძინებისათვის.

მეცხრამეტე საუკუნე რუსეთს მოევლინა მაღალი ჰუმანიზმისა და პროგრესის, ახალი დროისა და მოწინავე იდეების, პუშკინის, გლინკას, რეპინის საუკუნედ.

ეროვნული თვითშეგნება რუსეთში განსაკუთრებით გაძლიერდა პირველი სამამულო ომის პერიოდში. ამას მოჰყვა დეკაბრისტთა მოძრაობა, რომელმაც გამოაღვიძა მთელი რუსი საზოგადოება.

რუსული რენესანსის ეპოქამ დაბადა გლინკა, ეროვნული მუსიკის მამამთავარი. გლინკა იყო პირველი იმ რუს მუსიკოსთა შორის, ვინაც მშობლიური ხელოვნება მსოფლიო ასპარეზზე გაშოიყვანა. ამიერიდან ყველამ აღიარა, რომ რუსული მუსიკალური კულტურა თამამად გაიჭრა წინ. გენიალურმა უნგრელმა პიანისტმა და კომპოზიტორმა ფერენც ლისტმა, რომელიც ამ დროს რუსეთს ეწვია, აღფრთოვანებით წამოიძახა:

„მიაქციეთ ყურადღება აღმოსავლეთს. იგი სულ მალე მსოფლიოს ალაპარაკებს“. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, დამწყები კომპოზიტორი გლინკა ესტუმრა იტალიას. ისევე, როგორც ყველა, იგი აღფრთოვანებული იყო იტალიელების მუსიკალურობით, მათი საოპერო ხელოვნებით. გლინკამ ბევრი რამ შეისწავლა მათგან. მაგრამ, ბოლომდე რუს ხელოვნად დარჩა. აი, მისი ერთ-ერთი წერილი მეგობრისადმი:

„დავრწმუნდი, რომ ოპერა უნდა დავწერო, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ რუსული“.

ამ ოცნებით შთაგონებული დაბრუნდა გლინკა სამშობლოში და საჭირო სიუჟეტიც იპოვა — ამბავი უბრალო გლეხის — ივანე სუსანინის უმაგალითო გმირობისა, თავი რომ შესწირა სამშობლოს თავისუფლებას.

გლინკამ დაიწყო ოპერის წერა და თვალწინ გადაეშალა ბავშვობის შორეული წლები...

ომი. მძიმე დღეები. ნაპოლეონის ჯარები სწრაფად მიიწევენ წინ. მოსახლეობა ცდილობს თავი მოარიდოს მტერს, რაც შეიძლება შორს შეეფაროს. სოფელ ნოვოსპასკოედან ორიოლში მიდის აზნაურ გლინკას დიდი ოჯახიც. პატარა მიხეილი საკუთარი თვალით ხედავს რუსთა ჯარებს, სახალხო ლაშქრებს, სამშობლოს დასაცავად რომ შეკრებილან. განსაკუთრებით აღაფრთოვანებს მას სოფლებიდან წამოსული უბრალო რუსი გლეხები; იარაღი რომ არ ჰყოფნიათ, კომბლები აუღიათ ხელში, ოღონდ სხვებს არ ჩამორჩენ. მამაცები, თავდადებულნი, თამამად მიისწრაფიან საბრძოლველად. აბა, რა დაავიწყებს პატარა გლინკას ამ სურათს! შეიძლება, სწორედ მათ შორის იყო სუსანინი.

„ივანე სუსანინი“ პირველი რუსული ოპერაა, რომელშიც ასეთი ძალითა და სიდიადით წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსდგა სცენაზე უბრალო რუსი ხალხი. იმ დროს არისტოკრატიული საზოგადოებისათვის ეს წარმოუდგენელი შეურაცხყოფა იყო. პრემიერაზე მათ არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ და განუწყვეტლივ მეფის ლოჟას შესცქეროდნენ. და მხოლოდ მაშინ, როდესაც მეფემ ტაში დაუკრა, არისტოკრატებიც აჰყვნენ მათ. მეფემ კი ინება, მხოლოდ და მხოლოდ მისდამი ერთგულების გრძნობა დაენახა ახალ ოპერაში; თითქოსდა სუსანინმა მისთვის გასწირა თავი და ამიტომ გლინკას ოპერას „სიცოცხლე მეფისათვის" შეარქვეს და ოპერაც დიდხანს იდგმებოდა ამ სახელწოდებით.

მიუხედავად ოპერისადმი მეფის ამგვარი დამოკიდებულებისა, დიდგვაროვანმა საზოგადოებამ არ აპატია გლინკას, რომ საიმპერატორო სცენაზე ქალამნიანი, უბრალო რუსი გლეხობა გამოიყვანა.

პრემიერის მეორე დღეს გამოქვეყნდა რეცენზია, სადაც გლინკას „ივანე სუსანინს" „მეეტლეების" მუსიკა უწოდეს...

ის ამბავი, რომ პირველ რუსულ კლასიკურ საოპერო ნაწარმოებად ჰეროიკულ-პატრიოტული ოპერა იქცა, კანონზომიერი აღმოჩნდა. „ივანე სუსანინი" ეპოქაა, რომელშიც აისახა ერის საუკეთესო თვისებები — ჰეროიკული პათოსი, სამშობლოს სიყვარული.

აღფრთოვანებით მიესალმა გლინკას მოწინავე რუსი ინტელიგენცია, და განსაკუთრებით პუშკინი. პრემიერის შემდეგ გლინკას მეგობრებმა, მათ შორის პუშკინმა, ერთად შეიყარეს თავი. კომპოზიტორს ლექსი უძღვნეს, რომელიც ასე მთავრდებოდა:

„ჩვენი გლინკა, უკვე გლინკა აღარ არის.
იგი ფაიფურია!.."

(აქ სიტყვების თამაშია: „გლინკა" რუსულად ხომ „თიხას" ნიშნავს).

გლინკას ტრადიციები ბოროდინმა განავითარა ოპერაში „თავადი იგორი". ბოროდინი თავს გლინკას მემკვიდრედ თვლიდა და თაყვანს სცემდა მას.

ისევე როგორც გლინკა, ბოროდინი ოპერაში უმღერის მშობელ ხალხს, მის სიდიადესა და გმირობას.

თავის ერთადერთ ოპერას „თავად იგორს" ბოროდინი 18 წელი წერდა. მუსიკა არ იყო ბოროდინის ერთადერთი პროფესია, მას არა ნაკლებ უყვარდა ქიმია, არც ერთს არ აძლევდა უპირატესობას. და იგი ერთსა და იმავე დროს დიად მუსიკოსად და ქიმიკოსად გვევლინება. მის საფლავზე, მოსკოვში, ნოტებთან ერთად, ქიმიური ფორმულებია ამოკვეთილი.

„თავად იგორში" ახალი ძალით აჟღერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის (რუსებისა და ყივჩაღთა ბრძოლა) თემა.

თავადი იგორი ტყვედ ჩაუვარდა მტერს, მაგრამ სულით არ დაეცა. არავითარი სიმდიდრე თუ კეთილდღეობა, რასაც მას ყივჩაღთა ხანი შესთავაზებს, არ ხიბლავს იგორს, იგი არასდროს არ გახდება მოღალატე. მისი ერთადერთი ოცნებაა კვლავ დაბრუნდეს სამშობლოში, შეკრიბოს ჯარი და გაილაშქროს ყივჩაღთა წინააღმდეგ. ყველასათვის, კარგად ცნობილი იგორის ცენტრალური არია, ამაღლებული და კეთილშობილური — „მომეცით თავისუფლება" განზოგადებული განსახიერებაა მთელი ნაწარმოების პატრიოტული იდეისა.

როდესაც დიდმა რუსმა კომპოზიტორმა მოდესტ მუსორგსკიმ დაიწყო ოპერა „ბორის გოდუნოვის" შექმნა, ოპერის პირველ ფურცელს ასე წააწერა:

„წარმომიდგენია ხალხი, ვით დიადი ძალა". ეს გახლდათ დიდი რევოლუცია რუსულ საოპერო სცენაზე.

მთელი სიცოცხლე ოცნებობდა მუსორგსკი ისეთი ოპერის შექმნაზე, რომელშიაც აისახებოდა დაბეჩავებული, დაჩაგრული რუსი ხალხის მდგომარეობა. დიდხანს ეძია სიუჟეტი და ბოლოს პუშკინის „ბორის გოდუნოვი" აირჩია. რა ვუყოთ, რომ სიუჟეტი ისტორიული იყო — მუსორგსკიმ მას თანამედროვე ჟღერადობა მისცა.

„მსურს ავსახო წარსული სინამდვილეში", — წერდა კომპოზიტორი.

მთავარ მოქმედ პირად კომპოზიტორმა გამოიყვანა გალატაკებული, დასნეულებული ხალხი. თითქოს მთელი რუსეთი გაშიშვლდა სცენაზე.

ადვილი წარმოსადგენია, რამდენად მოულოდნელი იყო ეს რუსული საიმპერატორო თეატრისათვის. თეატრის დირექციამ უარი თქვა „ბორის გოდუნოვის" დადგმაზე იმ მიზეზით, ვითომდა „მას აკლდა ქალის დიდი გაშლილი საოპერო პარტია".

მუსორგსკის ძლიერ სურდა ეხილა თავისი საყვარელი ნაწარმოები სცენაზე და თითქმის გადაკეთებაზე დათანხმდა. მაგრამ კიდევ უფრო გააძლიერა ნაწარმოების დემოკრატიული სული. მან მიუწერა ოპერას ბოლო დიდი სურათი, რომელშიც ხალხი ხელში ჩაიგდებს ძალაუფლებას, ბოიარებს შეებრძოლება და მთელი სახელმწიფოს ბედიღბალს განაგებს.

განსაკუთრებული უკვდავება მიანიჭა ამ ოპერას გენიალურმა შალიაპინმა. არავის მის შემდეგ არ შეუქმნია ბორისის ამგვარი ზემოქმედებითი ძალისა და გაქანების საოპერო სახე. ყოველთვის, როდესაც შალიაპინს ვიხსენებთ, უწინარეს ყოვლისა, თვალწინ წარმოგვიდგება ბოროტმოქმედი მეფის ბორისის სახე, რომელიც საკუთარმა სინდისმა სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. შალიაპინი არა მარტო მღეროდა, იგი სცენაზე წარმოსდგებოდა ბუმბერაზ დრამატულ აქტიორად, რომლის ერთ შეხედვაზე მსმენელს ჟრუანტელი უვლიდა.

სრულიად ახალი ნაკადი შემოიტანა რუსულ საოპერო ჟანრში დიდმა რუსმა კომპოზიტორმა რიმსკი-კორსაკოვმა. მან განამტკიცა ზღაპრულ-ფანტასტიკური ოპერის ჟანრი, ვინაიდან ფიქრობდა, რუსული ზღაპარი მაღალი ხალხური სიბრძნის განსახიერებააო. მისმა ოპერებმა „მეფე სალთანის ზღაპარი", „ოქროს მამალი", „თოვლის ქალი", „მაისის ღამე" და კიდევ ბევრმა სხვამ გადაუშალა მსმენელს რუსული ბუნებისა და ხალხის მდიდარი ფანტაზიის განუმეორებელი სილამაზე.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში მოსკოვის მუსიკალური საზოგადოება, და განსაკუთრებით ახალგაზრდობა, აღფრთოვანებით მსჯელობდა ახალ ოპერაზე, რომელიც მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტთა მიერ შესრულდა. ოპერის ავტორის სახელი უკვე საკმაოდ კარგად იყო ცნობილი მოსკოველებისათვის, მაგრამ ახალი ოპერა „ევგენი ონეგინი" განსაკუთრებით გენიალური აღმოჩნდა.

ოთხთვენახევრის განმავლობაში დაწერა ჩაიკოვსკიმ „ევგენი ონეგინი". ოპერაზე მუშაობის დროს განსაკუთრებით შეუყვარდა ტატიანას სახე. ერთ-ერთ წერილში კომპოზიტორი აღნიშნავდა, რომ ვერ აპატიებს ონეგინს ტატიანასადმი ასე უგულო ქცევას. ერთ ხანს ჩაიკოვსკის უნდოდა კიდეც ოპერისათვის „ტატიანა ლარინა" ეწოდებინა.

საოცრად მორიდებულმა ჩაიკოვსკიმ „ევგენი ონეგინი" შესასრულებლად პირველად საოპერო თეატრში კი არა, მოსკოვის კონსერვატორიაში მიიტანა. ოპერას სრულყოფილად არ თვლიდა და სურდა, რომ იგი კონსერვატორიის სტუდენტებს ემღერათ. „ევგენი ონეგინს" დირიჟორობდა ჩაიკოვსკის უახლოესი მეგობარი, გამოჩენილი რუსი პიანისტი ნიკოლოზ რუბინშტეინი, რომელსაც ჩაიკოვსკიმ მრავალი ნაწარმოები უძღვნა და მათ შორის ჩვენთვის კარგად ცნობილი პირველი საფორტეპიანო კონცერტიც.

ამიერიდან პუშკინის მემკვიდრეობა ჩაიკოვსკის შემოქმედების განუყრელი ნაწილი გახდა.

დიდი რუსი კომპოზიტორის, ბიზესა და ვერდის თანამედროვის, ჩაიკოვსკის წყალობით, რუსულ საოპერო სცენაზე გაცოცხლდნენ ლამაზი, მდიდარი სულის მქონე ადამიანები. ისინი მთელი არსებით მიისწრაფიან ბედნიერებისაკენ, მაგრამ ამაოდ...

ტატიანა, ლენსკი, გერმანი, ლიზა... მათი საშუალებით ჩაიკოვსკიმ წარმოგვისახა ტრაგედია თავისი დროის მთელი მოწინავე რუსი ინტელიგენციისა, რომელსაც მეფის რუსეთის შავბნელ რეჟიმში სული ეხუთებოდა...

ბედნიერებაზე დიდი ოცნების უმაღლესი განსახიერება გახლდათ 49 დღეში დაწერილი „პიკის ქალი".

„პიკის ქალი" კომპოზიტორის საყვარელი ნაწარმოები იყო. პუშკინის პატარა მოთხრობა ჩაიკოვსკიმ გენიალურ საოპერო ქმნილებად აქცია.

„როდესაც გერმანის სიკვდილის სცენას ვწერდი, ცხარე ცრემლებით ვტიროდი, თითქოს თვითონ ვესალმებოდი სიცოცხლეს," — წერდა ჩაიკოვსკი.

„პიკის ქალი", ჩაიკოვსკის ერთ-ერთი უკანასკნელი ნაწარმოები, თითქოს ერთი ამოსუნთქვაა ხელოვანისა!

**მირა ფირხაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პედიატრიის ანბანი

# ბავშვის ფსიქო-მოტორული განვითარება

ახალშობილობის პერიოდიდან სქესობრივი მომწიფების დამთავრებამდე ბავშვის ორგანიზმი განუწყვეტელ ზრდა-განვითარებაშია. ეს, ერთი მხრივ, ბავშვის მოძრაობითი უნარის, ხოლო, მეორე მხრივ, მისი გონებრივი სფეროს სრულყოფაში გამოიხატება. ორივე ამ პროცესს ბავშვის ფსიქო-მოტორული განვითარება ჰქვია.

ბავშვის ფსიქო-მოტორულ განვითარებას უპირატესად გარემო პირობები განაპირობებს. სწორი აღმზრდელობითი მეთოდების გამოყენებისას ბავშვის ნერვული სისტემა შეიძლება სწრაფად განვითარდეს, მაგრამ ასეთი ხელშეწყობის გარეშე ეს განვითარება შეიძლება დაგვიანდეს ან შეფერხდეს კიდეც.

ფსიქო-მოტორული განვითარება ისევე, როგორც ორგანიზმის ყველა სხვა ფუნქცია, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედებით ხორციელდება.

ცენტრალური ნერვული სისტემა (თავისა და ზურგის ტვინი) ახალშობილ ბავშვებში ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი. ამიტომ, ახალშობილი სრულიად უმწეოა, მას არ ძალუძს თავის დამაგრებაც კი. მოძრაობები არაკოორდინირებულია, უნებურია და შემთხვევით ხასიათს ატარებს, ყნოსვა და სმენა ჯერ არ არის განვითარებული, მხედველობა ბუნდოვანია.

სიცოცხლის პირველ თვეებში თავის ტვინი, განსაკუთრებით მისი ქერქი, სწრაფად ვითარდება. მე-5, მე-6 თვეზე თავის ტვინის წონა ორკეცდება და გარეგნულად იგი არაფრით არ განსხვავდება სრულასაკოვანთა ტვინისაგან. ვითარდება ნათხემი, მატულობს ზურგის ტვინის მამოძრავებელი უჯრედების რაოდენობა და სხვა. ამ პროცესის შესაბამისად მატულობს ბავშვის ფსიქო-მოტორული აქტივობა.

ერთი თვის ბავშვი უკვე ახერხებს თავის დაჭერას რამდენიმე წამის განმავლობაში, თვალების მოძრაობაც კოორდინირებული ხდება, მძლავრ ბგერით გაღიზიანებებზე რეაგირებს, უჩნდება ღიმილი.

ორი თვის ბავშვი თვალს აყოლებს მოძრავ, ბრჭყვიალა საგანს, აბრუნებს თავს ხმაურზე, კარგად უჭირავს თავი რამდენიმე წუთის განმავლობაში, შეუძლია „აღუს“ გამოთქმა.

3-4 თვის ასაკში ახერხებს გადაბრუნებას გვერდზე, შემდეგში მუცლიდან ზურგზე და პირიქით, ეპოტინება სათამაშოებს, არ უშვებს მათ ხელიდან, იჩრის პირში, გამოხატავს სიხარულს საკვების დანახვაზე, ცნობს დედას.

5-6 თვის ასაკში ზის დაუხმარებლად, ტრიალდება მუცლიდან ზურგზე და პირიქით, სათამაშოებს იღებს და ცალი ხელით აქნევს.

7-8 თვის ბავშვი დამოუკიდებლად ჯდება. თუ ბარიერს ხელს წაავლებს, დგება, სათამაშოები გადააქვს ხელიდან ხელში, ცდილობს ტაშის დაკვრას, კარგად ცოცავს, უღიმის სარკეში თავის გამოსახულებას, მიიწევს ნაცნობებისაკენ, შეუძლია ცალკეული მარცვლების „მა“, „ბა“, „და“-ს გამოთქმა და სხვა.

9-10 თვის ბავშვი ეძებს და კრეფს სათამაშოებს, იღებს მათ ყუთიდან, ხელის მოკიდებისას ცდილობს ნაბიჯების გადადგმას, თუ რაიმეს მოჰკიდა ხელი, ახერხებს წამოდგომას, შეუძლია მარტივი სიტყვების „მამა“, „დედა“, ან „ბაბო“-ს წარმოთქმა.

ერთი წლის ბოლოს თავისით ჯდება და დგება, იხრება სათამაშოების ასაკრეფად, ალაგებს მათ ყუთში, შეუცდომლად უთითებს სახისა და ტანის ნაწილებზე, მარცვლავს მარტივ სიტყვებს, შეუძლია დამოუკიდებელი სიარული.

2-3 წლის ასაკში სიარული თანდათან უფრო სრულყოფილი ხდება. ბავშვს შეუძლია სირბილი, კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა, ბურთის თამაში. ის ინტერესით ათვალიერებს სურათებს, ხატავს ჯერ სწორი, შემდეგ მომრგვალებული ხაზებით. მისი სიტყვების მარაგი მატულობს. ამ ასაკის ბავშვები ადვილად იმახსოვრებენ მარტივ მელოდიებსა და ლექსებს, ამჟღავნებენ სივრცეში ორიენტაციის უნარს.

3-7 წლამდე ასაკის ბავშვები უკვე ფართოდ სარგებლობენ რთული წინადადებებით, უჩნდებათ ინტერესი კოლექტიური თამაშობებისადმი, უვითარდებათ აქტიური ყურადღების ელემენტები. ისინი ადვილად ეუფლებიან უცხო ენას, ბევრი მათგანი ამ პერიოდის ბოლოს კითხვასაც ახერხებს. პირველად ვლინდება ცნობისმოყვარეობა. ბავშვები ყველაფერზე კითხულობენ „რა არის ეს?“, შემდეგში — „რატომ არის ასე?“ მაგალითად, „რატომ ანათებს მზე?“ „რატომ არის თოვლი თეთრი?“ და სხვა. ეს ე. წ. „შეკითხვების“ პერიოდია. ამავე ასაკში პირველად მჟღავნდება ნებისყოფის ელემენტებიც, მაგრამ რადგანაც ბავშვის სურვილები ამ დროს მნიშვნელოვნად განსხვავდება აღმზრდელთა სურვილებისაგან, ხშირად აღინიშნება კონფლიქტი მათ შორის. ეს ე. წ. „სიჯიუტის“ პირველი პერიოდია.

ყრმობის ასაკში (7-დან 13-14 წლამდე) ყალიბდება ქცევის ურთულესი ფორმები, მორალური თვისებები, ბავშვის ინდივიდუალური სახე. აზროვნება მიდრეკილია აბსტრაქციისა და განზოგადოებისაკენ. 11-13 წლის ასაკში კვლავ ვლინდება შეუსაბამობა ბავშვისა და მოზრდილის სურვილებს შორის და ამას „სიჯიუტის“ მეორე პერიოდს ეძახიან.

სქესობრივი მომწიფების ხანაში სრულდება ბავშვის ფსიქო-მოტორული განვითარება, ყალიბდება მისი დამოუკიდებელი „მე“, მისი მოქალაქეობრივი და საზოგადოებრივი თვითშეგნება.

რა თქმა უნდა, ეს ასაკობრივი ეტაპები მიახლოებითია და მხოლოდ საორიენტაციო სქემებს წარმოადგენენ. მაგალითად, თუ 1 წლის ბავშვი ჯერ კიდევ ვერ დადის ან არ შეუძლია მარტივი სიტყვების წარმოთქმა, ეს კიდევ არ ნიშნავს ბავშვის ჩამორჩენას. ზოგი ბავშვი შედარებით ადრე იწყებს სიარულსა და ლაპარაკს, ზოგი შედარებით მოგვიანებით. მაგრამ თუ ბავშვის განვითარება მნიშვნელოვნად ფერხდება, მაგალითად, თუ იგი ვერც 1 წლისა და 6 თვის ასაკში ახერხებს ნაბიჯების გადადგმას და მარტივი სიტყვების წარმოთქმას, უნდა მივმართოთ ექიმს.

ყოველი ცალკეული პერიოდი დედისა და აღმზრდელის მხრივ გარკვეულ მიდგომას საჭიროებს.

სიცოცხლის პირველ თვეებში განსაკუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის წონასა და ზომაში მატებას, სუფთა ჰაერით ფართოდ სარგებლობას, მოძრაობითი ფუნქციების სრულყოფას. არ არის გამართლებული ბავშვის მაგრად შეხვევა, შეკვრა. საექიმო დაკვირვებებით ირკვევა, რომ აკვანში გაზრდილ ბავშვში მკვეთრად არის შეფერხებული ფსიქო-მოტორული განვითარება. ისინი გვიან სწავლობენ სიარულს, ჯდომას და სხვა. მხედველობითი და ბგერითი გაღიზიანებებისადმი ინტერესის გაღვიძების მიზნით საწოლთან ბრჭყვიალა სათამაშოებს კიდებენ, 4 თვემდე — 50-70 სმ მანძილზე, უფრო ახლოს სათამაშოს დაკიდება მიზანშეწონილი არ არის, რადგან თვალის მამოძრავებელი კუნთები ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული და ამან შეიძლება სიელმე გამოიწვიოს. კარგია კედელზე ნათელი სურათების ან თაროზე რამდენიმე მსხვილი სათამაშოს გამოფენა.

სათამაშოები უნდა შეირჩეს ასაკის მიხედვით. ნაადრევი ასაკის ბავშვისათვის უფრო კარგია რეზინის, პლასტმასის ან ცელულოიდის სათამაშოები, რადგან ისინი კარგად ირეცხება. ერთდროულად რამდენიმე სათამაშო ბავშვს არ უნდა მივცეთ — მალე მობეზრდება და, რაც მთავარია, აზროვნებას ფანტავს.

6-7 თვიდან უნდა მივაჩვიოთ ჯდომას, დგომას, 9-10 თვიდან სიარულს.

1-2 წლამდე უნდა მივაჩვიოთ უბრალო მარტივ დავალებათა შესრულებას, ჰიგიენურ ჩვევებს, საჭიროა განვუვითაროთ დაკვირვების უნარი, სიყვარული ბუნებისადმი, მუსიკისადმი.

2-3 წლამდე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეტყველების განვითარებას. საჭიროა ბავშვს შევასწავლოთ ასაკის შესაფერისი მარტივი მელოდია და ლექსები, მივაჩვიოთ მუსიკასა და რიტმს. ამ ასაკის ბავშვმა თამაშის შემდეგ უნდა იცოდეს სათამაშოების ალაგება, მისი ჩაწყობა ყუთში და სხვა.

4-5 წლის ასაკში უნდა შეეძლოს ხელისა და პირის ბანა ჭამისა და ძილის წინ. 6-7 წლიდან — დამოუკიდებლად ჩაცმა-გახდა, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მოვლა. ამ ასაკში ბავშვებს უნდა განვუვითაროთ სილამაზის გრძნობა, წიგნებისა და ხელოვნების სიყვარული. საჭიროა ხშირად ვუკითხოთ წიგნები, ვუჩვენოთ ნახატები, მოვასმენინოთ მუსიკა, ვუამბოთ მსუბუქი, მხიარული ზღაპრები. საშიში ზღაპრების მოყოლა ამ ასაკში, განსაკუთრებით ძილის წინ, გაუმართლებელია.

ბავშვები ადვილად აღგზნებადი არიან. ამიტომ ხმამაღლა ლაპარაკი, ყვირილი, სწრაფი მოძრაობები ბავშვის ჩაცმა-გახდის დროს, სწრაფი გადასვლა ალერსიდან ყვირილზე ან პირიქით, მავნე გავლენას ახდენს ბავშვის ნერვულ სისტემაზე. ბავშვის ნერვულ სისტემას არ შეუძლია დიდხანს შეკავებულ მდგომარეობაში ყოფნა, რის გამოც გაუმართლებელია მოთხოვნები „იჯექი გაუნძრევლად“, „სანამ არ გაჩერდები, საჭმელს არ მოგცემ“ და სხვა. ასევე არ შეიძლება ბავშვი ვაიძულოთ ერთბაშად შეცვალოს თავისი საქმიანობა, თუ იგი ათვალიერებს საინტერესო წიგნს, სწრაფად წავართვათ იგი ხელიდან და ვაიძულოთ ჩაიცვას, ჭამოს ან სხვა. ეს იმიტომ, რომ ბავშვის ნერვულ სისტემას არ ძალუძს სწრაფად გადავიდეს ერთი მდგომარეობიდან მეორეში.

ბავშვის ქცევაზე უარყოფითად მოქმედებს ხშირი, გამუდმებითი აკრძალვები: „არ ირბინო“, „არ იცელქო“, „არ გახვიდე გარეთ“ და სხვა. ეს იწვევს ბავშვის გაწონასწორებული ქცევის მოშლას, ძლიერ აღგზნებას. მაგრამ არც ის შეიძლება, რომ ბავშვის ყოველგვარი სურვილი დავაკმაყოფილოთ. არ არის გამართლებული ბავშვის დაშინება ნემსით, საავადმყოფოთი, ექიმით და სხვა. რა თქმა უნდა, სრულიად გაუმართლებელია ფიზიკური დასჯა.

აუცილებელია აღზრდის ერთიანი სისტემით სარგებლობდეს ბავშვის ყველა აღმზრდელი. არ ვარგა, როცა მამა მკაცრია და დედა ზედმეტად რბილი ან პირიქით. ამ შემთხვევაში, ბავშვი იძულებულია შეცვალოს თავის მოქმედება იმისდა მიხედვით, დედაა სახლში თუ მამა. აღგზნებადობის ასეთი ცვალებადობა უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ნერვულ სისტემაზე.

სკოლამდელი ასაკის ბავშვები უნდა მივაჩვიოთ კოლექტივიზმს, უნდა შევაყვაროთ სხვა ბავშვები, მათთან თამაში. ხშირად მშობლები ასე მიმართავენ ბავშვს: „ჭამე, თორემ თენგიზი შეგიჭამს“, „რად მიეცი სათამაშო ნუგზარს, ახლავე წაართვი, თორემ გაგიტეხავს,“ და სხვა. ამგვარმა ჩაგონებებმა ბავშვს შეიძლება ჩაუნერგოს ეგოიზმი, უხასიათობა და ეს თვისებები შემდეგაც გაჰყვეს.

სკოლის ასაკში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასკოლო დავალებების ზუსტად შესრულებას, მოსწავლის რეჟიმის დაცვას. არაა მიზანშეწონილი ბავშვის გადატვირთვა ერთდროულად მუსიკით, ცეკვით, უცხო ენებით, ჭადრაკით და სხვა, თუმცა ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობანი უნდა გამოვამჟღავნოთ და განვავითაროთ.

სქესობრივი მომწიფების ხანაში ბავშვს მონაწილეობა უნდა მივაღებინოთ საოჯახო საქმიანობაში, გავითვალისწინოთ მისი აზრი და მოთხოვნილებანი, ხელი შევუწყოთ მისი პიროვნების განვითარებას, შევაყვაროთ შრომა და გავუძლიეროთ სიყვარული რომელიმე მის მიერ არჩეული პროფესიის მიმართ.

ბავშვის აღზრდა ოჯახში რთული ხელოვნებაა, რომლის ცოდნა ყველა დედის წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

**ნ. ხერხეულიძე,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

**ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია მიმდინარე წელს აწყობს მოულოდნელ რეიდებს საბავშვო ბაგებსა და ბაღებში.**

**საუკეთესო აღმზრდელები და მომვლელები დაჯილდოვდებიან.**

**გველოდეთ სტუმრად!**

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია მიმდინარე წელს აწყობს მოულოდნელ რეიდებს საბავშვო ბაგებსა და ბაღებში.

საუკეთესო აღმზრდელები და მომვლელები დაჯილდოვდებიან.

გველოდეთ სტუმრად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრინციპის ერთგული

როგორც იქნა, სამეცნიერო დაწესებულებაში ახალი შტატები მოვიდა. დირექციას საშუალება მიეცა, ასე თუ ისე წაეხალისებინა თანამშრომლები. საჭირო იყო სწრაფი რეაგირება, თორემ დაყოვნებას მოჰყვებოდა ზემდგომი ორგანოს რომელიმე ხელმძღვანელი მუშაკის უშუალო დახმარება ვაკანსიის ათვისების საქმეში. სამწუხაროდ, მალე გამოირკვა, რომ ყველა დამსახურებულის სათანადო დაფასება შეუძლებელი იყო. დირექტორი საგონებელს მიეცა და უმალ მოიწვია სამეცნიერო საბჭო.

საბჭოს წევრები, რომელთაც უკვე შეეტყოთ საქმის ვითარება, გამოცხადდნენ თავიანთი წინადადებებით. სხდომაზე ეს წინადადებები რიგრიგობით უარყოფილი იქნა, რადგანაც თითოეული მათგანი ითვალისწინებდა შექმნილი მდგომარეობის მთლიანად ერთი განყოფილების ან ლაბორატორიის ინტერესებისათვის გამოყენებას.

მეცნიერები ჩაფიქრდნენ. საჭირო იყო საერთო პლაცდარმის გამონახვა.

— მოდით, უპირატესობა მივცეთ მათ, ვინც ფლობს უცხო ენას, — წამოაყენეს შედარებით რეალური წინადადება.

ინფორმაციისათვის სიტყვა მისცეს სწავლულ მდივანს: — თუ საერთოდ გადავხედავთ თანამშრომელთა მიერ შევსებულ ანკეტებს, საშუალება მოგვეცემა ვიმსჯელოთ, თუ ვინ როგორ ფლობს დედაენას. ხოლო რაც შეეხება უცხო ენას, როგორც ანკეტის ერთ-ერთი პუნქტიდან ჩანს, თითოეული მათგანი ფიქრობს, რომ მან სრულყოფილად იცის ერთი ენა მაინც.

— მაშინ ისინი დავაწინაუროთ, ვისაც ასპირანტურა აქვს დამთავრებული, — შემოვიდა მეორე წინადადება.

— ასპირანტურა, მარტო ჩვენს ინსტიტუტში კი არა, მგონი, საქართველოში ყველას აქვს დამთავრებული, — დააზუსტა სწავლულმა მდივანმა.

— მაშინ, ვისაც მეტი შრომა აქვს გამოქვეყნებული, — გაისმა რეპლიკა.

სწავლულმა მდივანმა ქაღალდებს ჩახედა: — შრომების საშუალო რაოდენობა თითქმის ერთნაირია, თუმცა, ასე უცებ, ძნელია რაოდენობის დაზუსტება, რადგანაც ზოგიერთმა ერთი და იგივე შრომა რამდენიმეჯერ გამოსცა სხვადასხვა სათაურით.

ის იყო სხდომა ჩიხში ექცეოდა, რომ სიტყვა მხცოვანმა აკადემიკოსმა მოითხოვა:

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მეცნიერებას შეიძლება ჩასწვდე მხოლოდ დამოუკიდებელი შრომით. ჩვენ შესანიშნავი ბიბლიოთეკა გვაქვს. მოდით, გადავხედოთ მკითხველთა ბარათებს, ვინ რას კითხულობს, რითი ცხოვრობს?

წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. სხდომაზე მოიწვიეს ბიბლიოთეკის გამგე მკითხველთა კარტოთეკით. საქმის მსვლელობის დაჩქარებისათვის სწავლულებმა ბარათები დაიყვეს.

— აი, აღმოჩენა! — წამოიძახა აღტაცებულმა აკადემიკოსმა. — ყოჩაღ, გოგონა! არა, თქვენ ხედავთ, ექვს ენაზე კითხულობს ლიტერატურას, არც ერთი ახალი გამოცემა არ გამორჩენია. თქვენ დააკვირდით, მხოლოდ კაპიტალური შრომებით სარგებლობს. საოცარი ათვისების უნარი! მაგალითად, ბირთვულ ფიზიკას, ამ რვაასგვერდიან მონოგრაფიას, მე სამი თვე ვამუშავებდი, მას კი ორ კვირაში მოუსწრია!

ბიბლიოთეკის გამგემ ჩაურთო: — ჩვენ წიგნებს ორი კვირის ვადით ვაძლევთ; იგი ყოველთვის დროულად აბრუნებს უკან.

— რა ფართო ჰორიზონტი: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ელექტროტექნიკა! — განაგრძობდა აკადემიკოსი.

თურმე, ეს უწყინარი და ჩუმი ქალიშვილი გამომთვლელი მანქანის ოპერატორი ყოფილა; გადაწყდა, რომ ქალიშვილი ჯერჯერობით ჯგუფის ხელმძღვანელად დაენიშნათ, ხოლო ახლო მომავალში განყოფილების გამგედ გადაეყვანათ.

საბჭო განაგრძობდა მუშაობას გაკვალული გზით და სულ მცირე ხანში დააკომპლექტეს ყველა საკონკურსო ადგილი.

მეორე დღეს ერთ ახალგაზრდა ინჟინერს რაღაც წიგნი დასჭირდა. ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა, რომ წიგნი ქალიშვილს წაეღო. როცა ინჟინერმა ლაბორატორიის კარი შეაღო, დაინახა აღიარებული ტალანტი: იგი გამომთვლელ მანქანაზე მუშაობდა სკამზე შემდგარი. მანქანის კლავიშები მაგიდიდან საკმაოდ მაღლა იყო, ამიტომ გოგონას სკამზე ორი სქელი წიგნი დაედო და ზედ მაუდის ნაჭერი გადაეფარებინა. იმ ორ წიგნს შორის ერთი სწორედ ის გახლდათ, რომელსაც ვაჟი დაეძებდა.

კაცია ძიძიგური

# რჩევა დიასახლისებს

## როგორ გავიკეთოთ მანიკური

ძალიან ბევრი ქალი თვითონ იკეთებს მანიკურს, მაგრამ ამ უბრალო „ოპერაციას“ ყველა და ყოველთვის როდი ახერხებს.

ამ საქმის გასაიოლებლად მოგცემთ რამდენიმე რჩევას:

იმ ხელის იდაყვი, რომელშიც ფუნჯი გიჭირავთ, მაგიდას უნდა ჩამოაყრდნოთ, ხოლო მეორე ხელის თითები მაგიდის ნაპირზე ან მუხლზე დაიწყოთ.

ფრჩხილების შეღებვა ყოველთვის მარჯვენა ხელიდან, უნდა დაიწყოთ, რადგან მისი შეღებვა მარცხენასთან შედარებით უფრო ძნელია. ხმარებამდე ლაქი კარგად შეანჯღრიეთ ბოთლში. ზოლები რომ არ დაგაჩნდეთ, ფუნჯს ფრჩხილებზე ძალიან ნუ დააწვებით. ფუნჯი მხოლოდ ერთი მიმართულებით, წინ უნდა გაუსვათ. ლაქი შეშრობამდე ფრჩხილის ნაპირზე თითით ფრთხილად შემოისწორეთ, ასე უფრო კარგად მიეკვრება.

თუ ძველი ლაქის მოსაშორებლად აცეტონი არ გაქვთ, თხლად გადაისვით ახალი ლაქი და მაშინვე გაიწმინდეთ, ოღონდ ბამბით არა.

თუ ლაქი ბოთლში გაგისქელდათ, აცეტონით ნუ გაათხელებთ; ჩაუმატეთ უფრო ღია ფერის ცოტა ახალი ლაქი.

ლაქი რომ მალე შეგაშრეთ, ფრჩხილები შეიძლება შეუშვიროთ ცივი წყლის სუსტ ნაკადს.

## ხავერდის ნაწარმის გარეცხვა

ბამბის ხავერდი ირეცხება წყალში, ხოლო აბრეშუმის და შალის ხავერდი, აგრეთვე აბრეშუმის პლუში—ბენზინში. ოღონდ გახსოვდეთ: ბენზინს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეპყრათ, რადგანაც იგი იოლად ფეთქდება.

ხავერდს გარეცხვამდე რბილი ჯაგრისით მოაცილეთ მტვერი. ამასთან ჯაგრისი დაუსვით ხაოს მიმართულებით. მერე გაშალეთ მაგიდაზე (რომელსაც წინასწარ უნდა დააფაროთ სუფთა ქსოვილი) და გაწმინდეთ ბენზინში დასველებული ჯაგრისით, ანდა გარეცხეთ ბენზინში. გარეცხილი ხავერდი გაუწურავად გაფინეთ გარეთ. ბენზინი მთლიანად უნდა აორთქლდეს.

თუ ხავერდის ხაო დათელილია, სამ წუთს ორთქლზე დაიკავეთ, მერე სწრაფად წაუსვით რბილი ჯაგრისი ხაოს საწინააღმდეგო მიმართულებით. თუ ორთქლის ერთი პროცედურა ხაოს არ გაასწორებს, გაიმეორეთ რამდენიმეჯერ.

ორთქლზე გატარებული ნივთები ოთახის ტემპერატურაზე გააშრეთ. თუ ხავერდი ირეცხება, საპნის ქაფში გარეცხეთ. ხავერდის გაწურვა და სრესა არ შეიძლება. გარეცხილი ხავერდი მშრალ სუფთა ქსოვილში შეახვიეთ და ისე მოაცილეთ ზედმეტი სისველე. მერე კი კარგი პირიდან მაგიდაზე გაშალეთ და ოთახის ტემპერატურაზე გააშრეთ.

ოდნავ ნოტიო ხავერდს ერთი მიმართულებით გაუსვით ჯაგრისი. თუ ხავერდის დაუთოვება აუცილებელია, უთო სადგარზე ააყირავეთ და ქსოვილი უკუღმა გადაუსვით მის ზედაპირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი კალენდარი



## ჯეკ ლონდონი

**(1876-1916)**

შესრულდა 90 წელი დიდი ამერიკელი მწერლის — ჯეკ ლონდონის დაბადებიდან. ბევრმა არც იცის, რომ ჯეკ ლონდონის ნამდვილი გვარი გრიფიტია. მსოფლიო გულთბილად აღნიშნავს ამ შესანიშნავ თარიღს. სახელი მწერლისა, რომელმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე (იგი ორმოცი წლის ასაკში გარდაიცვალა) კაცობრიობას მრავალი ბრწყინვალე რომანი და მოთხრობა დაუტოვა, მარად საყვარელია თაობებისათვის. ჯეკ ლონდონი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ცხოვრობდა თავის გმირთა ცხოვრებით, მათსავით ეძებდა ოქროს საბადოს ალიასკაზე, იყო უმუშევარი, მეზღვაური, ებრძოდა ბურჟუაზიულ სამყაროში გამეფებულ სოციალურსა და პოლიტიკურ უთანასწორობას, სწერდა, მოგზაურობდა... და საქვეყნოდ სახელგანთქმული მისი რომანიც „მარტინ იდენი“ თითქმის ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია. ნიჭიერი ადამიანის ტრაგედია უსულგულო ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, აი რა დახატა რეალისტური ფერებით მწერალმა ამ რომანში.

ცნობილია, რა დიდად აფასებდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ჯეკ ლონდონის შემოქმედებას და განსაკუთრებით მოთხრობას: „სიცოცხლის ტრფიალი“.

ჯეკ ლონდონის გახმაურებული რომანი „რკინის ქუსლი“ (1907 წ.) დაწერილია 1905 წლის რუსეთის რევოლუციისა და ამერიკაში სოციალისტური მოძრაობის გავლენით.

ჯეკ ლონდონის შემოქმედება მარად რჩება კაცობრიობის საგანძურში და თაობები აღიზრდებიან მის კეთილშობილ ჰუმანურ შემოქმედებაზე.

**შეცდომის გასწორება**

1965 წ. მე-12 ნომრის ტირაჟის ნაწილში დაშვებულია შეცდომა — მე-4 გვერდის მე-17 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს „ბირმა“.

## რომენ როლანი

**(1866 — 1944)**



100 წლის წინათ, პატარა ფრანგულ ქალაქ კლამსში, ნოტარიუსის ოჯახში დაიბადა გამოჩენილი მწერალი, საზოგადო მოღვაწე და მუსიკათმცოდნე რომენ როლანი, ავტორი სახელგანთქმული რომანებისა: „ჟან კრისტოფი“ (1904-12), „მოჯადოებული სული“ (1922-33) და მოთხრობისა „კოლა ბრუნიონი“ (1918).

რომენ როლანი თავიდანვე დიდად იყო დაინტერესებული ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელთა შემოქმედებითა და ცხოვრებით. წლების მანძილზე მუშაობდა იგი ბეთხოვენის, მიქელანჯელოსა და ტოლსტოის ცხოვრებაზე და კიდეც დაუტოვა კაცობრიობას შესანიშნავი წიგნები ამ ტიტანების შესახებ: „ბეთჰოვენი“ (1907), „მიქელანჯელო“ (1905), „ტოლსტოის ცხოვრება“, (1911), „გოეთე და ბეთხოვენი“.

ცნობილია ის დიდი სიმპათია, რითაც რომენ როლანი ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღიდანვე ეპყრობოდა საბჭოთა ქვეყანას.

1935 წელს როლანი ეწვია კიდეც ჩვენს ქვეყანას და აღტაცებაში მოვიდა საბჭოთა კავშირის მიღწევებით. გორკისა და ანრი ბარბიუსის დიდი მეგობარი, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის დაუღალავი მებრძოლი რომენ როლანი მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდანვე ჩადგა ანტიფაშისტთა რიგებში და ხალხებს მოუწოდებდა გაერთიანებულიყვნენ მთელ მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად.

მსოფლიოს ხალხებმა სამართლიანად შეიყვარეს დიდი შემოქმედი, მისი მემკვიდრეობა და ახლა სიყვარულით უხდიან დაბადების 100 წლისთავს.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: **ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია** (მხატ. რედაქტორი), **ნ. ჯავახიშვილი.**
ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/XII 65 წ., ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 60000. შეკვ. 4028. უე 03532. **ფასი 30 კაპ.**
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

**ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.**
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქსოვის დაუსწრებელი სწავლება

## ძაფი

ნაქსოვი ნაწარმისათვის პირველი ხარისხის ძაფად ითვლება შალის ძაფი, რომელიც რბილი, სწორი და ოდნავ დაგრეხილი უნდა იყოს. ჭუჭყიანი ძაფი ქსოვის დაწყებამდე უნდა გარეცხოთ. ძაფი ამოახვიეთ შულებად და შეჰკარით 1-2 ადგილას ბამბის ძაფით. შემდეგ თბილ წყალში ჩაყარეთ დათლილი საპონი, დაუმატეთ ცოტ ძმარი, სოდა და გარეცხეთ. გაავლეთ ნელთბილ წყალში, გაბერტყეთ და გაკიდეთ საკიდზე. შალის ძაფის გარეცხა ასევე შეიძლებ ფხვნილი „ნოვოსტის“ ან „კა 1-ის“ ხსნარში. ოღონდ უნდა გახსოვდეთ, რომ შალის დასაპნვა ან დასრესა დაუშვებელია.

ზოგჯერ ძაფს მოყვითალო-ფერი წაჰკრავს და თუ თქვენ გსურთ ის თეთრი იყოს, ამისათვის ძაფი გარეცხეთ, გაავლეთ ნელთბილ წყალში და როცა ცოტათი შეშრება, 10 წუთით ჩაუშვით მომინანქ რებულ ჭურჭელში, რომელშიც წყალბადის ზეჟანგის 15-პროცენ ტიანი ხსნარია. იქიდან ამოღების შემდეგ გაბერტყეთ და გააშრეთ.

თუ ძაფის შეღებვა გინდათ, მაშინ ის წინასწარ უნდა დაალბოთ ცი წყალში 10-12 საათის განმავლობაში. წყლიდან რომ ამოიღებთ, შემდეგ კვლავ გაბერტყეთ, მერე ერთ ჩაის ჭიქა თბილ წყალში გახსენით ერთი შეკვრა თქვენთვის სასურველი ფერის შალის საღებავი და დაუმატეთ $1/2$ ჩაის ჭიქა 5-პროცენტიანი ძმარი. საღებავისა და ძმრის ნარევი გაწურეთ ოთხად მოკეცილ დოლბანდში და ჩაასხით იმ ჭურჭელში, რომელშიც ძაფი უნდა შეღებოთ. შესაღებად იხმარეთ შესაფერისი ზომის ჭურჭელი, ისე, რომ სითხემ ძაფი მთლიანად დაფაროს. ადუღეთ მუდმივი მორევით. 25 წუთის შემდეგ ძაფი ამოიღეთ, დაუმატეთ $1/2$ ჩაის ჭიქა ძმარი და მერე განუწყვეტელი მორევით ისევ ადუღეთ 10-15 წუთი. ამის შემდეგ ცეცხლიდან გადმოიღეთ და ძაფი გააცივეთ სითხესთან ერთად. გაცივების შემდეგ ძაფი ნელთბილ წყალში გაავლეთ, გაბერტყეთ და გააშრეთ. მისი გაშრობა მზეზეც შეიძლება.

თუ გსურთ ძველი ნაქსოვის დარღვევა და მისგან ახლის მოქსოვა, ძაფის ნაწყვეტი ბოლოები ერთმანეთს გადააბით და მერე მუყაოს ფურცელზე დაახვიეთ ისე, რომ შულის სიგრძე 35 40 სმ იყოს, ხოლო წონით 100-150 გრამს არ აღემატებოდეს. ძაფს რომ მუყაოდან მოხსნით, გარეცხეთ ზემოთნათქვამი წესით. გასაშრობად რომ გაკიდებთ, ბოლოზე მოაბით რაიმე სიმძიმე, რომ ძაფი გასწორდეს. გაშრობის შემდეგ გადაიხვიეთ ჯერ სამ თითზე, მერე თითებიდან გადმოღებული შული მოაქციეთ თითებს შუა და გადახვევა დაიწყეთ ჯვარედინად.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ № 1



ნახ № 2



ნახ № 3.



ნახ № 4



ნახ № 5

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ № 6



სურ № 7



სურ № 8



სურ № 9



წინდისებური ქსოვა



შალისებური ქსოვა

## ჩხირები

ქსოვის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩხირების ხარისხს. მაგალითად, ალუმინის ჩხირები მსუბუქია, მაგრამ მალე მრუდდება, თანაც ღია ფერის ძაფს აჭუჭყიანებს, ამიტომ ის იხმარება უფრო მუქი ფერის ძაფით ქსოვის დროს.

ძვლის ჩხირები მსუბუქია, მაგრამ ადვილად იღრიკება და არ ემორჩილება ხელის მოძრაობას. ეს კი ქსოვის პროცესს ანელებს ფოლადის ჩხირები უფრო პრაქტიკულია, არც იღუნება. მაგრამ ხის ჩხირები ყველაზე მჩატე და მოხერხებულია.

ამ ბოლო დროს ხმარებაში შემოვიდა ნეილონის ჩხირები. ყველა სხვა ჩხირებთან შედარებით მისი ხმარება უფრო ადვილი და მოსახერხებელია, ნაქსოვის ხარისხიც — უფრო მაღალი.

ფორმის მიხედვით ჩხირები არსებობს გრძელი, სწორი, მრგვალი, ბოლოწაწვეტებული, ბოლომოკაუჭებული.

მრგვალი ჩხირებით იქსოვება ქალის ქვედატანი, სახელოები, და ისეთი საგნები, რომელთა ქსოვა ბევრ თვლებს მოითხოვს.

ჩხირების სისქე ყოველთვის უნდა შეეფარდებოდეს ძაფის სისქეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაქსოვი უთანაბრო და ულამაზო გამოდის.

ხელით ქსოვის დროს ყველაზე უფრო ხმარობენ 2-2,5 მმ დიამეტრის და 350 მმ სიგრძის ჩხირებს. უფრო გრძელი ჩხირებით ქსოვენ კაბებს, სვიტრებს და ჟაკეტებს.

ჩხირების სისქის მიხედვით დადგინდა მათი ზომებიც: თუ ჩხირის დიამეტრი 1 მმ-ია, ის იქნება № 1 ჩხირი. თუ დიამეტრი 2 მმ-ია იქნება № 2, თუ 2, 5 მმ-ა, იქნება № 2, 5 ჩხირი და ა. შ. № 5 ჩხირებით იქსოვება აჟურული თხელი საგნები, № 1, 5 და № 2 ჩხირებით ხელთათმანები და წინდები.

სურ № 1.

## ქსოვის ტექნიკა

**თვლების ასხმა.** საქსოვად მოამზადეთ ნართი და ჩხირები. ხელები მოხარეთ იდაყვში ისე, რომ ტანს ებჯინებოდეს. ორად მოკეცილი ძაფი დაიხვიეთ მარცხენა ხელზე, გამოსდეთ მარცხენა ხელის ცერსა და ოდნავ მოხრილ საჩვენებელ თითს ისე, რომ ძაფის ორივე ბოლო მოიქცეს ხელის გულში, ხოლო დანარჩენი სამი თითი თავისუფლად იჭერდეს გამავალ ძაფს. გორგალიდან გამოსული ე. წ. სამუშაო ძაფი ცერის მხარეს უნდა იყოს, თავისუფალი ბოლო კი მის საწინააღმდეგოდ.

იხ. სურ. № 2.

შემდეგ ორივე ჩხირი დაიჭირეთ მარჯვენა ხელში და გაატარეთ ცერსა და საჩვენებელ თითს შუა გამოდებული ძაფის ქვეშ, გააკეთეთ მთლიანი შემობრუნება, რომ ჩხირებზე მიიღოთ პირველი თვალი.

იხ. სურ. № 3.

შეაბრუნეთ ჩხირები ქვემოთ და გაატარეთ დიდ თითზე შემოხვეული ძაფის ქვეშ. ჩხირების წვერი მოსდეთ საჩვენებელ თითზე მდებარე ძაფს (თორემ ისევ უკანვე გადმოიღებთ). მოჭიმავთ ძაფს, რომელიც ცერზე გაქვთ მოდებული, ხოლო მარცხენა თითებზე დარჩენილ ძაფს გაჭიმავთ ჩხირების მაგრად დაჭერით და მიიღებთ მეორე თვალს.

სურ. № 4-5.

ამრიგად აასხით იმდენი თვალი, რამდენიც გესაჭიროებათ. ეს იქნება პირველი რიგი.

სურ. № 6.

შემდეგ ერთ ჩხირს ფრთხილად გამოაძრობთ და მეორეზე თავისუფლად განლაგდება თვლები. ამის შემდეგ დაიწყებთ ქსოვას.

**ქსოვა წაღმა თვლებით.** თვლებასხმული ჩხირი დაიკავეთ მარცხენა ხელში, თავისუფალი ჩხირი — მარჯვენა ხელში. სამუშაო ძაფი მარცხენა ხელის მხარეზეა, ჩხირების უკან.

მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე გადაიხვიეთ ძაფი. პირველი თვალი მოუქსოვლად გადაიტანეთ მარჯვენა ჩხირზე, შემდეგ მარჯვენა ჩხირით მარცხენა შეიყვანეთ თვალში, გამოსდეთ საჩვენებელ თითზე გადახვეულ ძაფს და ძაფის თვალში გამოტარებით უკან გამოიღეთ. გამოქსოვილი თვალი გადმოვა მარჯვენა ჩხირზე.

სურ. № 7.

წაღმა ქსოვა მეორენაირადაც შეიძლება, ე. წ. გადაგრეხილ (გადაბრუნებული) თვლებით. მარჯვენა ჩხირი შეუყარეთ თვალში მარცხენა ჩხირის უკან, მერე გამოსდეთ მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე მოდებულ ძაფს და გამოატარეთ მარჯვენა ჩხირის ქვემოდან, თვალი გადმოიტანეთ მარჯვენა ჩხირზე.

იხ. სურ № 8.

**უკუღმა თვლებით ქსოვა.** უკუღმა ქსოვის დროს სამუშაო ძაფი ჩხირის ზემოდანაა, ე. ი. შიგნითა მხარეს. მარჯვენა თავისუფალი ჩხირის წვერი შეგყავთ გამოსაქსოვი თვალის ქვემოდან. ძაფი, რომელიც საჩვენებელ თითზე გაქვთ, გამოსაქსოვი თვალის გვერდითაა. გამოსდებთ ძაფს (ერთხელ) მარჯვენა ჩხირის წვერს და გამოიღებთ უკან თვალის გამოტარებით. მიიღებთ უკუღმა გამოქსოვილ თვალს და ის ყოველთვის გადადის მარჯვენა ჩხირზე.

იხ. სურ. № 9.

**უბრალო (ძაფის უბრუნველად) ქსოვა.** უბრალო ქსოვის დროს ყველა თვალი და ყველა რიგი ან მხოლოდ წაღმა სახეზე იქსოვება, ან მხოლოდ უკუღმა სახეზე.

უბრალო ნაქსოვი ორმხრივია და შედგება ერთნაირი უკუღმა რიგებისაგან. როცა ერთ მხარეზე ვქსოვთ სწორ თვლებს, ვღებულობთ რიგებისაგან. როცა ერთ მხარეზე ვქსოვთ წაღმა თვლებს, ვღებულობთ: ერთ მხარეზე წაღმა რიგს, მეორე მხარეზე — უკუღმა რიგს.

უბრალო ნაქსოვით იქსოვება: თავსაფრები, შარფები, საყელოები, სამაჯურები, ქუდები და სხვა.

უბრალო ნაქსოვი (მოკლედ, ფორმულის სახით) შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

1 რიგი — წაღმა თვლები,

2 რიგი — როგორც პირველი და ა. შ.

ავტორი **ნინო გომიაშვილი ბვეტაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# იუმორი



გილოცავთ ახალ წელს!



უსიტყვოდ



შემთხვევა ახალწლის დილას

მხატვარი დ. ბაშელეიშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე თქვენ ხედავთ თბილისის მეტროს სადგურს — „დიდუბეს“. ახალმა წელმა ასეთი დიდი, უშესანიშნავესი საჩუქარი მოგვართვა. გაივლის წლები, ჩვენი მემკვიდრეები, შემდეგი თაობები დედაქალაქის ისტორიაში მოძებნიან თბილისის მეტროს დაბადების თარიღს — 1966 წელს და შეეცდებიან წარმოიდგინონ ის დიდი სიხარული, რასაც დღეს მოუცავს დედაქალაქის დიდი თუ პატარა მოქალაქე, მოუცავს მთელი საქართველო.

ეს ლამაზი, გრანდიოზული საჩუქარი ხალხთა მეგობრობის სიმბოლოა. ქართული მეტროს მშენებლობაზე ერთად ილწვოდნენ, თავიანთ სულს, აზრსა და ძალას აქსოვდნენ საქართველოს მშრომელები, მოსკოველები, ლენინგრადელები, კიეველები, ხარკოველები, ვორონეჟელები..

სადგურ „დიდუბედან“ „რუსთაველამდე“ დაჰქრიან ახალთახალი ექსპრესები. მხოლოდ 9 წუთია საჭირო იმისათვის, რომ დიდუბიდან რუსთაველის ხიდნამდე იმგზავრო. დილის 6 საათიდან შუაღამემდე სიცოცხლეა მიწის ქვეშ.

სასიხარულო ახალი წელი გაუთენდათ თბილისელებს!

გარეკანის მეოთხე გვერდზე ბიჭვინთის ტაძრის მოზაიკა — სერიიდან „ქართული ხელოვნების ნიმუშები“.

ფერადი ფოტოები ნ ო რ ა ა ნ თ ი ძ ი ს ა.

ნ 49/45



ИНДЕКС 76178